საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქიზეა, ფაქიზებით და ჯიუტებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 ივნისი, 2013 წელი.

№117 (7244)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბოროტება არ იმალება

ვანო მერაბიშვილისთვის ბრალის დამძიმების საკითხზე პროკურატურის განცხადება

ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს სანდრო გირგვლიანის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, ბრალი წარედგინა.

პროკურატურამ მერაბიშვილის მიმართ ბრალის დამძიმებასთან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ საქმეზე, კერძოდ, სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის რეალური გარემოებებისა და წარმოებული გამოძიების ფალსიფიკაციის დადგენის მიზნით.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამ საქმეზე 2006 წლის 6 ივლისს გასამართლდა 4 პირი: **გერონტი ალანია** (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი), **ალექსანდრე ღაჭავა** (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი ოპერატიული თანამშრომელი), **მიხეილ ბიბილურიძე** (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი ოპერატიული თანამშრომელი) და **ავთანდილ აფციაური** (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი ოპერატიული თანამშრომელი), რომლებსაც მსჯავრი დაედოთ საქართველოს სს კოდექსის 117 მუხლის მე-6 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა), 143 -ე მუხლის მე-2 ნაწილით (თავისუფლების უკანონო აკვეთა) და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნივთის დაზიანება და განადგურება) და სასჯელის ზომად დაუდგინდათ: გ. ალანიას – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მ ბიბილურიძეს, ა. აფციაურს და ა. ღაჭავას კი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2007 წლის 27 ივლისის განჩინებით ზემოაღნიშნულ მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმცირა 6 თვით, 2008 წლის 24 ნოემბრის №768 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე მსჯავრდებულებს გაუნახევრდათ სასჯელის ვადა, ხოლო 2009 წლის 5 სექტემბერს ისინი პირობით-ვადამდე გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან, რის შედეგადაც მსჯავრდებულებმა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სულ დაჰყვეს 3 წელი და 6 თვე.

2006 წელს წარმოებული გამოძიებითა და სასამართლოს შესაბამისი განაჩენით სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების ფაქტი შეფასდა როგორც გ.ალანიასა და გარდაცვლის შორის ლესელიძის ქუჩაზე, „შარდენ ბარის“ გასასვლელთან შემთხვევით წარმოშობილი პირადი კონფლიქტის გაგრძელება.

2012 წლის ბოლოს საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაწყებული გამოძიებით კი უტყუარად, მრავალმხრივი და ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილია საპირისპირო, კერძოდ:

პირველი:

სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორება განხორციელდა შეკვეთით და ეს შეკვეთა ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ე.წ. „შარდენის სუფრიდან“, ანუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმდროინდელი გენერალური ინსპექციის უფროსის ვასილ სანოძის დაბადების დღის აღსანიშნავი სუფრიდან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმდროინდელმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა;

მეორე:

სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორებაში, რასაც ამ უკანასკნელის გარდაცვალება მოჰყვა, დ. ახალაიას გარდა, მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ზემოაღნიშნული განაჩენით მსჯავრდებული პირები, არამედ, როგორც მინიმუმ, პოლიციის კიდევ ორი მაღალი თანამდებობის პირი;

მესამე:

სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის ხელის შეშლის, დანაშაულის შემკვეთისა და თანამონაწილეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განრიდების მიზნით, მსჯავრდებულმა პირებმა, დუმილის სანაცვლოდ მიიღეს ფულადი ანაზღაურება თითოეულმა რამდენიმე ათეული ათასის ოდენობით;

მეოთხე:

მსჯავრდებულები სასჯელს იხდიდნენ განსაკუთრებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ისე, რომ მათი ყოფა, პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა თავისუფლებაში მყოფი მატერიალურად უზრუნველყოფილი მოქალაქეების ყოფაცხოვრებისგან – ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ ყველა პიკანტური დეტალის გადმოცემისგან, თუმცა, გაცნობებთ ერთ უპრეცედენტო ფაქტს – შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სისტემის მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულებრივი ხელშეწყობითა და ორგანიზებით, მსჯავრდებულები პერიოდულად ტოვებდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში და რაც ყველაზე საგულისხმოა, სტუმრობდნენ ძველ სამუშაო ადგილს, კერძოდ – შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს;

იხ. 2 გვ.

სამართლიანობა ისევე საჭიროა სიცოცხლისთვის, როგორც ჰაერი არსებობისთვის

③

უნივერსიტეტმა მთავრობას უკეთესი არჩევანი არ დაუტოვა

⑥

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვიზიტი

ბიძინა ივანიშვილი შიმონ პერესს შეხვდა

ისრაელში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემირ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს შეხვდა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

საუბარი შეეხო საქართველოსა და ისრაელს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის, ენერგეტიკული და კულტურული ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობას.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ებრაელი ერი ნიჭიერებით გამოირჩევა და აუცილებელია, ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდეს. თავის მხრივ, შიმონ პერესმა მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს სტუმრობისთვის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, სამუშაო სადილი გაიმართა, რომელსაც ქართული დელეგაციის წევრები და ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალური პირები დაესწრნენ.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ისრაელში ვიზიტის ფარგლებში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ისრაელში უკვე დაიწყო.

ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე, პრემიერმა ჰოლოკოსტის მუზეუმი დაათვალიერა. ბიძინა ივანიშვილმა იერუსალიმის მთაზე მდებარე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი — „იად ვაშემი“ ყვავილების გვირგვინით შეამკო, რითაც პატივი მიაგო ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას. დასასრულ, ბიძინა ივანიშვილმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი, საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია.

ინტერპრესი

◎ „სამშობლო უფრო ტკბილია“

ფონდი, კონცერტი და რაღაც უფრო მეტი

საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდმა 23 ივნისს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში პირველი მასშტაბური ღონისძიება ჩაატარა. ფაქტობრივად, ეს ფონდის პრეზენტაციაც იყო, ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე ტკივილიანი მსჯელობაც, გრანდიოზული კონცერტიც და რაღაც უფრო მეტიც.

სცენის შუაგულიდან მოჩანდა ვეება ხე — ბერმუხა, რომლის რტოებზეც საქართველოს ყველა კუთხე სხვადასხვა ფერად იყო „გაფოთლილი“. ეს ლამაზი და მეტყველი ლოგო ამშვენებდა იმ სამად მოკეცილ პროსპექტსაც, საღამოზე მისულთ სავარძლებზე რომ გვხვდებოდა. ის საინტერესოდ გვაცნობდა ახლად დაფუძნებული ფონდის მიზნებს და გვაწვდიდა საგანგაშო ინფორმაციას საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაზე.

ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ **თამარ ჩიბურდანიძემ** წინა დღით სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ ამ საღამოს, კომერციულზე მეტად, სწორედ ინფორმაციული დატვირთვა ექნებოდა, რათა ყველასათვის ცხადი გამხდარიყო საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების რეალური სურათი. და ეს სრულიად ლოგიკურია: თუ კარგად არ იცი, რა გჭირს, ეფექტიანადაც ვერ უმკურნალებ. წინა ხელისუფლება ამ პრინციპს არად დაგიდევდათ, ამიტომაც საგულდაგულოდ მალავდა მართლაც საგანგაშო ინფორმაციას, რომელიც გაეროს მოსახლეობის ფონდს ჯერ კიდევ 2010 წელს გაუვრცელებია: „2050 წლისათვის, ამერკავკასიაში ირღვევა დემოგრაფიული ბალანსი. საქართველოს მოსახლეობა მილიონ 170 000 კაცით შემცირდება. საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. საფრთხე ექმნება ქართულ გენოფონდს.“

23 ივნისის საღამომ ეს სავალალო პროგნოზიც საქვეყნოდ გაამხილა და არანაკლებ დამზაფრავი სხვა სტატისტიკაც.

დღევანდელი საღამო არ იქნება იოლად მოსასმენიო, — თავიდანვე გაგვაფრთხილეს წამყვანებმა. წამყვანთა წყვილი კი სამი იყო: პირველ მონაკვეთში — ნინო თოლორდავა და ლევან ჯავახიშვილი, შემდეგ — თამარ ჩიბურდანიძე და დავით ფაცაცია, ბოლოს კი — თაკო ჩხეიძე და როლანდ ოქროპირიძე. სწორედ ისინი გვაცნობდნენ საქართველოს დემოგრაფიულ სურათს, მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას კი ლოგიკურად ენაცვლებოდა სიმღერები, რომელთაც ასრულებდნენ ეკა მამალაძე და მაია ჯაბუა, სოფო ხალვაში და რუსა მორჩილაძე,ჯემალ და ცისანა სეფიაშვილები, სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი, არჩილ ნიჟარაძე და დათუნა სირბილაძე, ანსამბლები „ლაშარი“, „კესანე“, „შვიდკაცა“, დუეტი „ჯორჯია“ და სხვები.

საგანგაშო ინფორმაცია და სტატისტიკა ეხებოდა შობადობის კლებას, სიკვდილიანობის ზრდას, აბორტების არნახულ გახშირებას,შიდა და გარე მიგრაციის ფართო მასშტაბებს, მოსახლეობის დაბერებასა და სხვა სერიოზულ პრობლემებს.

ბოლოს სცენაზე ავიდა ფონდის საპატიო თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე. ის კიდევ ერთხელ შეეხო გაეროს ზემოხსენებულ პროგნოზს და დასძინა,რომ უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანა მხოლოდ ერისა და ბერის, ხალხისა და ხელისუფლების ერთად დგომით თუ მოხერხდება. მან მადლობა გადაუხადა დარბაზში მყოფ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს პრემიერ- მინისტრს, რომელთაც საჩუქრად გადასცა მინანქარში დამზადებული ფონდის ემბლემა.



ამაღელვებლად გაისმა ილია მეორის სიტყვები, უცხოეთში მყოფ ქართველებს დაბრუნებისკენ რომ მოუწოდა. „სამშობლო უფრო ტკბილია“, — მიმართა მათ პატრიარქმა.

ბიძინა ივანიშვილის სიტყვა კი ძალიან მოკლე, მაგრამ ძალიან მტკიცე იყო: „მე არ მჯერა იმ სტატისტიკის, რომლის მიხედვითაც ჩვენი მოსახლეობა, თითქოს, ოცდაათი პროცენტით უნდა შემცირდეს. გარწმუნებთ, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და სწორი პოლიტიკით, საქართველოს მოსახლეობას 30 პროცენტით გავზრდით!“

სააკაშვილს, ეტყობა, სჯეროდა და იმიტომ მალავდა.

ივანიშვილი კი არ მალავს, ბრძოლას უცხადებს.

ეს გამარჯვების საწინდრად მოჩანს!

რაც შეეხება დემოგრაფიული აღორძინების ფონდს, ხომ ნათქვამია, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო. დასაწყისი კი, უდავოდ, კარგია...

იოსებ ჟუმბურიძე

◎ მართლმსაჯულება

ბოროტება არ იმალება

(პირველი გვერდიდან)

მეხუთე:

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებული პირების შეწყალება და მათი ვადამდე-პირობით გათავისუფლება განხორციელდა ტენდენციურად, კანონის მოთხოვნათა და დადგენილი პროცედურების უხეში დარღვევით;

მეექვსე:

საქართველოს იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა, რომლისთვისაც დანაშაულის ჩადენის დღიდან, ანუ 2006 წლის 28 იანვრიდან ზედმიწევნით ზუსტად იყო ცნობილი მომხდარი დანაშაულის უკლებლივ ყველა დეტალი, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის თამარ (თაკო) მერაბიშვილი-სალაყაიას, აგრეთვე მასთან დაახლოებული სხვა პირების (დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვის და სხვათა), მომხდარი დანაშაულისაგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, რამაც პრაქტიკულად ზუსტი ასახვა ჰპოვა სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს შესაბამის ვერდიქტში, როდესაც მართლმსაჯულების უმაღლესმა ევროპულმა ინსტანციამ, დაადგინა, — ვციტირებთ: **„სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებები შსს, პროკურატურა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, შიდა საქმეთა სამინისტროები, საქართველოს პრეზიდენტი და ა.შ — ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება.“**

შესაბამისად:

დღეს, 2013 წლის 24 ივნისს საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ), რაც გამოიხატა მის მიერ განხორციელებულ განზრახ ქმედებათა ერთობლიობაში, ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და დამნაშავეების შესახებ არსებული მონაცემებისა და ინფორმაციის დაფარვა-შეცვლის მიზნით, გამოძიების ინსცენირებასა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში, დანაშაულის წახალისებასა და ბრალდებულთა მიმართ გამოხატულ ფარულ მხარდაჭერაში, მათთვის სასჯელის მოხდის პერიოდში უკანონო პრივილეგიების მინიჭების უზრუნველყოფასა და დანაშაულის დაფარვისათვის მათი ფულადი წახალისებისათვის, ასევე სასჯელისაგან მათი ვადაზე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფისათვის პირობების შექმნისათვის.

ზემოაღნიშნული ქმედებები ივ. მერაბიშვილმა ჩაიდინა პირადი მოტივებით.

საგულისხმოა ის გარემობა, რომ საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით დაკითხვისას ივ. მერაბიშვილმა გამოიყენა მოწმის უფლება და არ მისცა ჩვენება საკუთარი თავისა და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ.

საქმეზე გრძელდება გამოძიება და უახლოეს მომავალში დადგება ამ დანაშაულში მონაწილე არაერთი პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

საძმის მოცულობისა და გამოძიების პროცესში მიკვლეული მტკიცებულებების სიმრავლის გამო, საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურა დღესვე გამოაძვეყნებს ივანე მერაბიშვილის ბრალდების დადგენილების სრულ ტექსტს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

აქვე გთავაზობთ ამ დადგენილების სრულ ტექსტს.

დადგენილება

ივანე მერაბიშვილის ბრალდების შესახებ

24 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

ქ. თბილისის პროკურორმა მაია მწარიაშვილმა განვიხილე სისხლის სამართლის საქმე № 074261112802, საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ წამებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა,“ „ბ,“ „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და მივიღე მხედველობაში, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საკმარის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ივანე სერგოს ძე მერაბიშვილმა, დაბადებულმა 1968 წლის 15 აპრილს, პირადი ნომერი 01021004498, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონემ,

ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ივანე მერაბიშვილი 2004 წლის 18 დეკემბერიდან 2012 წლის 4 ივლისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს. მას, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, ეკისრებოდა პასუხისმგებლობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული — ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფისათვის.

2006 წლის 27 იანვარს, 23:00 საათზე, ქ. თბილისში, კაფე-ბარ ,,შარდენში“ შეიკრიბნენ თამარ მერაბიშვილი (სალაყაია) —შინაგან საქმეთა მინისტრის ივ. მერაბიშვილის მეუღლე, დავით ახალაია — შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, ოლეგ მელნიკოვი —ამავე დეპარტამენტის ოპერატიული თანამშრომელი, ვასილ სანოძე — შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი, გურამ დონაძე — შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, ანა კალანდაძე და მისი მეგობარი თათია მაისურაძე.

იხ. 4-5 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამართლიანობა ისევე საჭიროა სიცოცხლისთვის, როგორც ჰაერი არსებობისთვის

გვესაუბრება საერთაშორისო სამართლის დოქტორი ევა გოცირიძე. ქალბატონო ევა საქართველოს პარლამენტში ხმათა დიდი უმრავლესობით აირჩიეს იუსტიციის საბჭოს ერთ-ერთ არამოსამართლე წევრად.

— ქალბატონო ევა, ერთი შეხედვით, რას ველოდით სასამართლო რეფორმისგან და რა მივიღეთ?

— სასამართლო რეფორმისაგან ჩვენი საზოგადოება სამართლიანი მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას ელის. ძალზე ნაადრევია იმის თქმა, თუ რა შედეგი მივიღეთ. სასამართლო რეფორმის განხორციელება ჯერ ახლა იწყება. თავის მხრივ, სასამართლო რეფორმა მხოლოდ ერთი ნაწილია სამართლებრივი რეფორმისა, რომელმაც სამართლებრივი სისტემის ყველა რგოლი უნდა მოიცვას. თუმცა, უდავოა, რომ ყველაზე რთული ამ რეფორმებში მართვადი და მორჩილი სასამართლოს გადაქცევაა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, კომპეტენტურ და ნდობით აღჭურვილ სასამართლოდ. მმართველი ძალის მხრიდან სასამართლოს შიდა საქმეებში ჩაურევლობა საკმარისი არ არის მისი დამოუკიდებლობის მისაღწევად. ვშიშობ, რომ საკუთრივ მოსამართლეთა კორპუსის დიდი ნაწილი მზად არ არის დამოუკიდებლობისათვის, უფრო სწორად — იმ პასუხისმგებლობის ასაღებად, რასაც „დამოუკიდებლობა“ და ზოგადად „თავისუფლება“ გულისხმობს. პასუხისმგებლობისაგან დაცლილი „დამოუკიდებლობა“ თუ „თავისუფლება“ თვითნებობის სივრცეა და არა რაიმე სიკეთის მიღწევის გზა. არადა, ხელისუფლების არც ერთ განშტოებას ისე არ სჭირდება დამოუკიდებლობა, როგორც სასამართლოს. წესით, იგი სისხლხორცეულად უნდა იყოს დაინტერესებული თავისი დამოუკიდებლობითა და გაძლიერებით, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ არ სურთ, ან იქნებ უბრალოდ აღარც შეუძლიათ, რომ დამოუკიდებლობა ამჯობინონ დამოკიდებულებას... სასამართლო ხომ წარსული უკანონობისა და ძალადობის მთავარი მოკავშირე იყო.

— რამდენად სამართლიანად მოხდა მოსამართლეთა კონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევა?

— საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა მოსამართლეთა კონფერენცია უზრუნველყო ყველა პირობით, რომ მათ მიეღოთ თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები... შემოღებულ იქნა ფარული კენჭისყრის წესი, ყველა მოსამართლეს (და არა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, როგორც ეს ძველად იყო) შეეძლო წამოეყენებინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კანდიდატურა. დასანანია, რომ მოსამართლეთა კორპუსი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მხოლოდ ის ფაქტიც კი მრავლისმთქმელია, რომ მოსამართლეთა უმრავლესობამ უარი უთხრა უმცირესობის იმ სავსებით ლეგიტიმურ მოთხოვნას, რომ წამოყენებული კანდიდატურებისათვის შეკითხვები დასვათ. საბოლოოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არჩეულ იქნა ზოგიერთი ისეთი მოსამართლე, რომლებსაც გამოტანილი აქვთ უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც თვალს ხუჭავდნენ ადამიანის წამების ფაქტებზე და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნების ამსრულებლებს წარმოადგენდნენ. ეს იყო დამოუკიდებლობის ბოროტად გამოყენების ერთგვარი გამოვლინება. იმის მაგივრად, რომ პრინციპული, ავტორიტეტული პიროვნებების არჩევის გზით ხალხის ნდობის მოსაპოვებლად ეზრუნათ, როგორც ჩანს, მათ არჩევანი გააკეთეს თავიანთი პირადი, კერძოდ, თანამდებობრივი მდგომარეობის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე. აი, ასე შობს ერთი უკეთურება მეორეს .. მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილებას მე პროვოკაციულსაც კი ვუწოდებდი. როგორც ჩანს, ხელისუფლებას, ისევე როგორც მთელ საზოგადოებას, დიდი ძალისხმევა მართებს, რომ თანდათანობით გააჯანსაღოს ვითარება სასამართლო ხელისუფლებაში.

— როგორც ამბობენ, ამიერიდან პროკურატურა გავლენას ვეღარ მოახდენს მოსამართლეებზე, მაშინ რატომ მიიღეს მოსამართლეებმა ისეთი არჩევანი, რომელიც კოტე კუბლაშვილის წისქვილზე უშვებს წყალს, რისი შეეშინდათ?

— სამსახურის დაკარგვის, უკანონო გადაწყვეტილებების გამო პასუხისმგებლობის. გარდა ამისა, მათ მიიღეს იმის დაპირებაც, რომ ხელახალი ვადით გამწესდებოდნენ მოსამართლის თანამდებობაზე, თუკი და სანამ იუსტიციის საბჭოში ძალთა ძველებური ბალანსი იქნებოდა შენარჩუნებული. ამიტომაც მიმაჩნია, რომ სასამართლო ხელისუფლებამ თვითლუსტრაცია და შემდგომი თვითდისკრედიტაცია მოახდინა. ეს ააშკარავებს, რომ სასამართლო რეფორმის განხორციელება მხოლოდ სასამართლოსადმი დამოუკიდებლობის მინიჭებით არ უნდა გამოიხატებოდეს. სასამართლოს საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება და მისი პოლიტიკური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა გადაუდებელი საქმეა. სასამართლო არ უნდა გადაიქცეს დახშულ სივრცედ, სადაც ზოგიერთი უსინდისო ადამიანი თავის უსინდისო საქმეებს მშვიდად გააგრძელებს და დამოუკიდებლობის გარანტიებს მართლმსაჯულების ინტერესების საზიანოდ გამოიყენებს. სასამართლოს დამოუკიდებლობის სიკეთე ხალხს უნდა მოხმარდეს და არა დამნაშავე ჩინოვნიკების დაუსჯელობას.

— თქვენი აზრით, რითი აჯობა ახალ იუსტიციის მინისტრს ძველმა უზენაესმა მოსამართლემ?

— არა მგონია, რითიმე ეჯობნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის მინისტრისათვის, თუნდაც ტაქტიკურ საკითხებში. ქ-ნი თეა წულუკიანი შეუვალი ავტორიტეტია, და 1 ოქტომბერი თუნდაც იმიტომ იყო დიდი სიკეთე, რომ შესაძლებელი გახდა მისნაირი კომპეტენტური და ზნეობრივი პიროვნება იუსტიციის მინისტრი გამხდარიყო. ასეთი რამ ხომ შეუძლებელი იქნებოდა ძველი ხელისუფლების დროს. თუმცა, მიმაჩნია, რომ ზოგიერთი კომპრომისი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ვენეციის კომისიის გავლენით დაუშვა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით, მთლად გამართლებული არ იყო.

— თუკი იუსტიციის სამინისტროს მიწოდებული კანონი იყო უკეთესი, ვიდრე პარლამენტმა დატოვა საბოლოო სახით, რატომ წავიდნენ დეპუტატები ასეთ დათმობაზე?

— ალბათ იმის იმედით, რომ მმართველი, ძალის ჩარევისაგან გათავისუფლებული სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლობას და ხელისუფლების კეთილ ნებას საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებასა და სასამართლოსადმი ხალხის ნდობის მოპოვებას მოახმარდა. ამ იმედს გააჩნდა ლოგიკური საფუძველი. სასამართლო, როგორც ხელისუფლების მესამე განშტოება, ლოგიკურად თავად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული გაძლიერებით, რათა ნამდვილ ხელისუფლებად, სხვა განშტოებების თანასწორ და თანაზომად განშტოებად ქცეულიყო. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, სასამართლომ მავანთა მორჩილებაში დარჩენა ამჯობინა. როგორც ჩანს, ტოტალიტარულ სახელმწიფოში მან კარგად გაითავისა და ბოლოს მოეწონა კიდევაც მორჩილი მდგომარეობა, რამდენადაც იგრძნო ერთგვარი კომფორტი თავისი უპასუხისმგებლობის გამო. სწორედ ამიტომ ამ ეტაპზე ვერ დავეთანხმები მოსამართლეთა სამუდამოდ გამწესებას. რთულია იმის ვარაუდი, რომ ის, ვინც მორჩილებაში დაიბადა და გაიზარდა, როგორც მოსამართლე, ეგუებოდა ამ მდგომარეობას და ეს თავისი არსებობის ოპტიმალურ ფორმად წარმოედგინა, სრულად გაიაზრებს და იტვირთებს იმ პასუხისმგებლობას, რასაც „თავისუფლება“ მოითხოვს. სამუდამო გამწესება ვერ გახდება მოსამართლის შინაგანი თავისუფალების გარანტი. იგი, პირიქით, შემდგომი უკანონობისა და თვითნებობის ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

— ვიცით, რომ სასამართლო დამოუკიდებელი არ იყო, მაგრამ როგორ ახერხებდა ნაციონალური მოძრაობა დასავლეთისთვის თვალის ახვევასა და ისეთი სოლიდური ორგანიზაციის „გაცურებას“ როგორიც ვენეციის კომისიაა?

— ისინი ხომ ამის დიდოსტატები არიან, მოჩვენებითი სიმართლის შექმნის დიდოსტატები... **მონტესკიე ამბობდა, უსასტიკესი ტირანია სწორედ ისაა, რომელიც კანონიერებისა და სამართლიანობის დროშით გამოდისო.** დღესაც კი, როდესაც წამებისა და ადამიანის ღირსების დამამცირებელი სხვა არაერთი ვიდეოფირი იქნა აღმოჩენილი, გარე თუ შინა მოხმარების უტიფარი სიცრუისა თუ დემაგოგიის ტირაჟირება მათი მხრიდან კვლავ გრძელდება. სიმართლე გითხრათ, მიკვირს კიდევაც ზოგიერთი ჟურნალისტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას იმას უთმობენ, უნდა ეჩვენებინათ თუ არა ეს ვიდეოფირები ადამიანთა შეზღუდული წრისათვის, ვიდრე საკუთრივ ძალადობის შემზარავ ფაქტებს, რომლებიც ძველი რეჟიმის ნამდვილ სახეს ააშკარავებს. ჩემი აზრით, ეს ფირები მთელმა საზოგადოებამ უნდა ნახოს, რათა კიდევ ერთხელ გაიაზროს ტოტალიტარიზმის მთელი საშინელება. ბუხენვალდის, ოსვენციმისა თუ სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში თავად ფაშისტების მიერ გადაღებული ვიდეოფირები სავსებით შეგნებულად უჩვენეს ომის დასრულების შემდეგ გერმანელ ხალხს, ყველას, ვისაც არ სურდა დაენახა ფაშიზმის ნამდვილი არსი. არაერთი გერმანელისაგან მომისმენია, რომ სწორედ საკონცენტრაციო ბანაკების ამქვეყნიური ჯოჯოხეთის ხილვის შემდეგ მოინანიეს მათ თავიანთ სამშობლოში იმგვარი ტენდენციების დაშვება, რომლებმაც საბოლოოდ ფაშიზმი წარმოშვა. ამიტომაც სავსებით გამართლებული იყო საქართველოს შს მინისტრის გადაწყვეტილება აღმოჩენილი ვიდეოფირების სანახავად დიპლომატიური კორპუსის მოწვევის თაობაზე. იმედია, ახლა მაინც დაინახავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები იმას, რასაც აქამდე ვერ ხედავდნენ, ან არ უნდოდათ დანახვა, ან უბრალოდ არ სჯეროდათ. სიმართლე საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს. **„ბოროტი საქმე მზის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“** (უ. შექსპირი).

— ეპატიოთ თუ არა დანაშაული მოსამართლეებს, რომელთაც თავის დროზე დანაშაული ჩაიდინეს ადამიანების წინაშე?

— მოსამართლეები არ აგებენ პასუხს სასამართლო შეცდომის გამო, თავიანთი სამართლებრივი ფილოსოფიის გამო. სასამართლოს შეცდომების გამოსასწორებლად ზედა ინსტანციები არსებობს, მაგრამ მართლმსაჯულების განზრახ გამრუდებისათვის, დანაშაულის ჩადენისათვის იმუნიტეტი არავის დაუწესებია არასოდეს.. დანაშაულის დაუსჯელობა დანაშაულის წაქეზებაა ფაქტობრივად, რამდენადაც უმეტესი დანაშაულის ცდუნება სწორედ დაუსჯელობის გათვლაში მდგომარეობს.

— ამბობენ, რომ მოსამართლეთა გადარჩევის პროცესი გაჭიანურდა. ვინაიდან მოსამართლეთა უმრავლესობა უკანონო გადაწყვეტილებებს იღებდა, ავტომატურად უნდა მომხდარიყო მათი გათავისუფლებაო. თქვენ რას ფიქრობთ? როგორია სხვა ქვეყნების გამოცდილება. როგორ ხდება ცივილიზებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა „წმენდა“?

— ცივილიზებულ საზოგადოებაში მოსამართლეთა „წმენდის“ საჭიროება არ არსებობს. ნამდვილი ცივილიზაცია შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების გარეშე. მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპის დაცვა აუცილებლად მიმაჩნია, მაგრამ მოსამართლეთა კონფერენციის შედეგებმა საქართველოს მოსამართლეთა კორპუსის განახლების აუცილებლობა წარმოაჩინა. მაგრამ ჩანაცვლება უნდა მოხდეს სამართლიანი სამართლებრივი პროცედურების დაცვითა და თანმიმდევრულად, რათა ახალ უკანონობას უნებურად არ შევუწყოთ ხელი, ანდა საკუთრივ მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას დაბრკოლებები არ შევუქმნათ. ჩვენი ამოცანაა სასამართლოს ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევა და არა მისი დამოკიდებულების ვექტორის შეცვლა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მოსამართლეებად უნდა შევარჩიოთ კომპეტენტური, პრინციპული და პატიოსანი იურისტები. მჯერა, რომ მხოლოდ მაღალკვალიფიციური იურისტი შეძლებს იყოს ნამდვილად დამოუკიდებელი, ხოლო თუ მოსამართლე პატიოსანი არ არის, კომპეტენტურიც რომ იყოს, იგი თავის დამოუკიდებლობას ბოროტად გამოიყენებს და ასეთ შემთხვევაში სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებს აზრი დაეკარგებ[illegible]

— თქვენი არჩევა, როგორც არამოსამართლე წევრისა, პარლამენტში ხმათა დიდი უმრავლესობით გადაწყდა. როგორ ხედავთ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს ამ საბჭოში?

— საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების იდეას დიდი ერთგულება და თავდადება სჭირდება არა მარტო პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამწესებულ პირთა, არამედ მმართველი გუნდისა და მთელი საზოგადოების მხრიდან. ამ იდეისადმი ერთგულება, ვფიქრობ ჩემი განვლილი ცხოვრებით დავადასტურე. ამ მხრივ მყარად ვგრძნობ თავს. მართლა მწამს, რომ მართლმსაჯულება არის საფუძველი ყველა საზოგადოებრივი სათნოებისა და რომ სამართლიანობა ისევე საჭიროა სიცოცხლისათვის, როგორც ჰაერი არსებობისათვის. ვვარაუდობ, რომ საბჭოში განსახილველ არაერთ საკითხზე პარლამენტის მიერ საბჭოში გამწესებულ ჩემს კოლეგებთან ერთად უმცირესობაში აღმოვჩნდები, მაგრამ შევეცდებით, რომ ჩვენი უმცირესობის ხმები იყოს უმრავლესობის ხმებთან შედარებით უფრო წონადი, ქმედითი, და სიცოცხლისუნარიანი. იმედი მაქვს, რომ ფაქტორთა ერთობლიობა, რაც დღეს ნამდვილად არსებობს სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებასთან მიმართებაში — ხელისუფლების პოლიტიკური ნება, საზოგადოების მოთხოვნა, ამ იდეისადმი თავმიძღვნილ ადამიანთა არსებობა — აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

— რა იქნება უახლოეს მომავალში. რას მიიღებს ამ „რეფორმით“ საზოგადოება. მით უმეტეს, რომ ათასობით საქმე ხელახალ გამოძიებასა და სამართლიან ვერდიქტს ელოდება?

— სამართლიანობის დამკვიდრებას არა აქვს ალტერნატივა, ეს ჩვენი სახელმწიფოებრივი გადარჩენის, ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის საკითხია. საზოგადოება მიიღებს იმას, რასაც ნამდვილად უერთგულებს და რისი მოთხოვნის უნარიც გააჩნია. სამართლიანი მართლმსაჯულება შეიძლება დამკვიდრდეს მხოლოდ იქ, სადაც მთელ საზოგადოებას შეგნებული აქვს მისი აუცილებლობა, და, ამასთანავე, იმის უნარიც აქვს, მოითხოვოს, რომ მისი მოსამართლეები სამართლიან მართლმსაჯულებას ემსახურებოდნენ.

ესაუბრა
თეა მოსია

საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების იდეას დიდი ერთგულება და თავდადება სჭირდება არა მარტო პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამწესებულ პირთა, არამედ მმართველი გუნდისა და მთელი საზოგადოების მხრიდან. ამ იდეისადმი ერთგულება, ვფიქრობ ჩემი განვლილი ცხოვრებით დავადასტურე. ამ მხრივ მყარად ვგრძნობ თავს. მართლა მწამს, რომ მართლმსაჯულება არის საფუძველი ყველა საზოგადოებრივი სათნოებისა და რომ სამართლიანობა ისევე საჭიროა სიცოცხლისათვის, როგორც ჰაერი არსებობისათვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დადგენილება

ივანე მერაბიშვილის ბრალდების შესახებ

(მეორე გვერდიდან) ამავე ბარში, მოგვიანებით მივიდნენ სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი – ლევან ბუხაიძე. დარბაზში შესვლისთანავე, სანდრო გირგვლიანმა შენიშნა თათია მაისურაძე და რამდენადაც მასთან ჰქონდა ახლო ურთიერთობები და ბარში მისვლამდე ტელეფონით ესაუბრა კიდეც, მიუახლოვდა მას და სუფრის სხვა წევრების თანდასწრებით, მკვეთრი ჟესტებითა და ხმამაღალი ტონით დაუწყო საუბარი, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ ცოტა ხნის წინ, მათ შორის შემდგარი სატელეფონო საუბრისას, თ. მაისურაძემ დაუმალა და არ გაუმხილა ს. გირგვლიანს, რომ იმყოფებოდა „შარდენ ბარში“, არამედ მოატყუა, თითქოს სხვა ბარში იყო, მეგობარ გოგონებთან ერთად.

ს. გირგვლიანსა და თ. მაისურაძეს შორის მომხდარი შელაპარაკება შეუმჩნეველი არ დარჩა ამავე ბარში მყოფ ს. გირგვლიანის მეგობარს ზაალ ქურციკაშვილს, რომელმაც მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან არიდების მიზნით, სანდრო გირგვლიანი გამოარიდა შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის თ. მერაბიშვილის სუფრას. თუმცა, ს. გირგვლიანმა განაგრძო საყვედურების გამოთქმა. ზაალ ქურციკაშვილმა რამდენჯერმე შენიშვნაც კი მისცა მას და დამშვიდებისაკენ მოუწოდა. მოგვიანებით, თ. მაისურაძე გადაჯდა სანდრო გირგვლიანის მაგიდასთან, სადაც მათ შორის კვლავ გაგრძელდა საუბარი მკვეთრი ჟესტების ფონზე. ერთმანეთს შორის ურთიერთობათა გარკვევისას ს. გირგვლიანმა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია მინისტრის მეუღლის სუფრასთან მჯდომი შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი თანამდებობის პირი.

სანდრო გირგვლიანსა და თ. მაისურაძეს შორის გამართული დაძაბული საუბარი და მათი მისამართით გამოთქმული პრეტენზიები, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თ. მაისურაძის სუფრის წევრებს, რისი დასტურიც აღმოჩნდა „შარდენ ბარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების სასწრაფო თავმოყრა. კერძოდ, სუფრასთან მყოფი დათა ახალაიას დავალებით, ს. გირგვლიანთან ანგარიშსწორების მიზნით, „შარდენ ბარის“, თავისუფლების მოედნის, ლესელიძის ქუჩის მიმართულებით და მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე, დავით ქოქიაშვილი, იოსებ ხასაია, ვალერიან მეტრეველი და სხვები. დროის რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ ს. გირგვლიანმა და მისმა მეგობარმა დატოვეს ბარი და გარეთ გავიდნენ. მათ დათა ახალაიას მითითებით უკან გამოჰყვათ მინისტრის მეუღლის სუფრის ერთ-ერთი წევრი - ო. მელნიკოვი, რათა დ. ახალაიას გამოძახებით ქუჩაში მყოფი „კუდ“-ის თანამშრომლებისათვის მიენიშნებინა მსხვერპლზე. ო. მელნიკოვის მინიშნებით გ. ალანიამ, თანმხლებ პირებთან - ალ. ღაჭავასა და დ. ქოქიაშვილთან ერთად, ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩაისვეს ავტომანქანაში და გაიტაცეს ქალაქგარეთ, თბილისიდან 6 კილომეტრის მოშორებით მდებარე ოქროყანის სასაფლაოზე. აქ მათ შემოუერთდათ ა. აფციაური და მ. ბიბილურიძეც. გამტაცებლებმა ს.გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ს. გირგვლიანს წამების მიზნით სხეულის სხვადასხვა არეში დანით მიაყენეს აურაცხელი ჭრილობა, მათ შორის 12 ჭრილობა ყელის არეში. გარდა ამისა, მას დაზიანებები აღენიშნებოდა ასევე მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე, წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ და ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი, გვიან ღამით მიატოვეს უკაცრიელ ადგილას. 2006 წლის 28 იანვარს, დაახლოებით 15:00 საათზე, სანდრო გირგვლიანის გვამი მისმა მეგობრებმა იპოვეს ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. გირგვლიანისათვის ჭრილობათა უმეტესობა მიყენებული იყო ყელის არეში, მათ შორის სასიკვდილო აღმოჩნდა ხორხზე მიყენებული ღრმა ჭრილობები.

რაც შეეხება ლ. ბუხაიძეს, გამტაცებლებმა, ძლიერ ნაცემი და შიშველ მდგომარეობაში მყოფი დატოვეს რა სასაფლაოზე, მან გააღწია და მიაგნო უახლოეს ბენზინგასამართ სადგურს, საიდანაც დაუკავშირდა პოლიციას.

ივ. მერაბიშვილს ბრალი ედება იმაში, რომ მოქმედებდა რა დაკისრებული მოვალეობებისა და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და მისი მეუღლისათვის, ასევე, მის დაქვემდებარებაში მყოფი მაღალი რანგის მოხელეებისათვის უკანონო უპირატესობების მინიჭების პირადი მოტივით, დაარღვია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები, საქართველოს კონსტიტუცია, მოქმედი კანონმდებლობა და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (რასაც განსაზღვრავდა არა მხოლოდ დაკავებული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობიდან გამომდინარე ფორმალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებები, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობრივი ავტორიტეტითა და ფაქტობრივი გავლენით განპირობებული შესაძლებლობები, აგრეთვე მისი სამსახურებრივი კავშირები), უკანონო ჩარევის გზით და ერთიანი განზრახვით გავლენას ახდენდა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების მთელ პროცესში მიკერძოებული, არასრულყოფილი, უსამართლო და არაობიექტური სამართალწარმოების უზრუნველყოფისათვის, შემდეგ კი სასჯელის მოხდის მთელ პერიოდში განაჩენის არასათანადო აღსრულებისათვის მსჯავრდებულთათვის უკანონო შეღავათების დაწესებისა და პირობების შექმნისათვის, ასევე სასჯელისაგან მათი ვადამდე გათავისუფლებისათვის.

ივანე მერაბიშვილის მიერ ჩადენილ ქმედებათა შედეგად სანდრო გირგვლიანის საქმეზე განზრახ არ იქნა მხილებული დანაშაულში მონაწილე ყველა პირი და არ მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო საქმეზე მსჯავრდებული პირების მიმართ არ განხორციელდა კანონით გათვალისწინებული, ადეკვატური სამართალწარმოება, რამაც განაპირობა სასამართლოს მიერ აღნიშნულ პირთა მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე განაჩენის არასათანადოდ აღსრულება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ივ. მერაბიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა საქართველოს პარლამენტში 2006 წლის 28 თებერვალს ს. გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებული საჯარო გამოსვლისას განაცხადა, „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უახლოეს ხანებში ეს საქმე გაიხსნება და მთელი საზოგადოებისათვის გახდება ცნობილი ამ საზარელი მკვლელობის შემსრულებლები“. 2006 წლის 6 მარტს, შ/ს სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ივ. მერაბიშვილმა კვლავ საჯაროდ განაცადა, რომ ს.გირგვლიანის მკვლელობის საქმის გახსნა პირადად მისი და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესტიჟის საქმე იყო, და სწორედ ამიტომ, მისივე დაჟინებული მოთხოვნით, საქმის გამოძიებას, დანაშაულის გახსნამდე, აწარმოებდა მისდამი დაქვემდებარებული უწყება (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო).

სინამდვილეში, ივანე მერაბიშვილმა საკუთარი პოლიტიკური/თანამდებობრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ უფროს დავით ახალაიასთან და სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, პირადი მოტივით დაგეგმა და განახორციელა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებების შესახებ არსებული და მოპოვებული მონაცემების წინასწარი განზრახვით დაფარვა, შეცვლა და მათი იმგვარი საპროცესო დამაგრება, რამაც გამოიწვია დანაშაულის შემკვეთებისა და თანაამსრულებლებისათვის გარდუვალი, კანონიერი და ადეკვატური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. ივ. მერაბიშვილისა და სხვა თანამდებობის პირთა შეთანხმებული ქმედებებით განხორციელდა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ინსცენირება, რომლის მიზანი იყო, ერთის მხრივ, დაეფარათ დანაშაულის ჩამდენი უფრო მაღალი თანამდებობის პირები, მათთან შემხებლობაში მყოფი, შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე და მისი შესაძლო მონაწილეობა დანაშაულში, ხოლო მეორეს მხრივ, მოეხერხებინათ გ. ალანიას, ა.აფციაურის, ალ. ღაჭავას და მ. ბიბილურიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მსჯავრდება ჩადენილზე უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის, მოსალოდნელი სასჯელის ვადისა და პირობების წინასწარ შეპირებული გარანტიებით.

ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლომ, 2011 წლის 26 აპრილის განჩინებით - „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,“ დაადგინა, რომ ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის საქმეზე ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

ჩადენილი დანაშაულის ამჟამინდელი გამოძიებით დადგინდა, რომ ოქროყანის სასაფლაოს მახლობლად ს. გირგვლიანის გვამის აღმოჩენიდან მე-2-მე-3 დღეს, ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა მერაბ ბაღათურიამ ივ.მერაბიშვილს პირადად მოახსენა თბილისის კრიმინალური სამსახურების მიერ დადგენილი, ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებები, კერძოდ ის, რომ ს. გირგვლიანს კონფლიქტი მოუხდა „შარდენ ბარში“ მყოფ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროს დ. ახალაიასთან, შსს პრეს-სამსახურის უფროს გ. დონაძესთან და მათი სუფრის სხვა წევრებთან, რის გამოც, „კუდ“-ის თანამშრომლების მიერ შემდგომში მოხდა ს. გირგვლიანისა და მისი მეგობრის, ლ. ბუხაიძის გატაცება. ივ. მერაბიშვილს მოხსენდა, რომ გამოძიებას ამოღებული ჰქონდა სატელეფონო ამონაწერები, რითაც დასტურდებოდა „კუდ“-ის თანამშრომლების ყოფნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ოქროყანის სასაფლაოზე. ასევე დადგენილი იყო ავტომანქანა („Mercedes - ML“), რომლის საშუალებითაც ჩადენილი იქნა დანაშაული. მითითებული ავტომანქანა კი იმ დროისათვის სარგებლობაში ჰყავდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსს გ. ალანიას. ივ. მერაბიშვილს ასევე მოახსენა, რომ „შარდენ ბარში“, სუფრის წევრებს შორის იმყოფებოდა მისი მეუღლე თამარ მერაბიშვილი. მინისტრთან საუბრისას, მ. ბაღათურიასთვის ცხადი გახდა, რომ ივ.მერაბიშვილმა უკვე იცოდა საქმის გარემოებები და მ. ბაღათურიას ნაამბობი მისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, მისი მინისტრი - ივ. მერაბიშვილისაგან თანხმობას ითხოვდა „კუდ“-ის იმ მოხელეების დაკავებაზე, რომელთა მიერ დანაშაულის ჩადენა ოქროყანის სასაფლაოზე დგინდებოდა მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით. თუმცა, მ. ბაღათურიამ ასეთი თანხმობა ივ. მერაბიშვილისაგან ვერ მიიღო, მიუხედავად ამ საკითხზე მათ შორის გამართული რამდენიმე შეხვედრისა.

დანაშაულის ჩადენიდან ასევე 2-3 დღეში, საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელიმა თავმჯდომარემ - ნინო ბურჯანაძემ, თავისთან მიიწვია ივ. მერაბიშვილი და მოსთხოვა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების, მათ შორის - კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დ. ახალაიას პასუხისგებაში მიცემა. ივანე მერაბიშვილი, რომელიც სრულად ფლობდა ინფორმაციას ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე, არ დაეთანხმა პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნას, ჩადენილ დანაშაულში ყველა დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იმ მოტივით, რომ ასეთ შემთხვევაში, მას თავად მოუწევდა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება, ანუ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის დატოვება.

ივ. მერაბიშვილსა და მ. ბაღათურიას შორის ს. გირგვლიანის დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში კვლავ შედგა შეხვედრა, რომელსაც მათ გარდა, ესწრებოდნენ: დ. ახალაია და ვ. სანოძე. საუბრისას, ს.გირგვლიანის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მინისტრის შეკითხვაზე, დ. ახალაიამ უპასუხა, რომ ყველაფერი კარგად იყო. თავის მხრივ, მ. ბაღათურიამ მოახსენა ივ.მერაბიშვილს, რომ გამოძიებას მოძიებული ჰყავდა პიროვნება, რომელიც ინციდენტის დროს იმყოფებოდა „შარდენ ბარში“ და იძლეოდა ჩვენებას, ბარში მყოფ ს. გირგვლიანსა და შ.ს. სამინისტროს თანამშრომლებს შორის მომხდარი კონფლიქტის თაობაზე. მოწმე ადასტურებდა ინფორმაციას, რომ იგი თავად მივიდა ს. გირგვლიანთან და გამოარიდა დ. ახალაიასა და მინისტრის მეუღლის სუფრას, რითაც შეეცადა მათ შორის კონფლიქტის აღმოფხვრას. მიღებულმა ინფორმაციამ გააღიზიანა მინისტრი და განმარტება დ. ახალაიასგან მოითხოვა. მიმდინარე გამოძიების მათ ინტერესებში განვითარებისათვის პრობლემად წარმოჩინდა „შარდენ ბარში“ მყოფი მოწმის - ზაალ ქურციკაშვილის ჩვენება, რომელიც თვითმხილველი იყო ს. გირგვლიანსა და დ. ახალაიას სუფრას შორის ინციდენტისა, რისი გამოაშკარავებაც კატეგორიულად არ შედიოდა ივ. მერაბიშვილის ინტერესებში.

ამდენად, გამოძიებით დადგენილია, რომ ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტიურად მე-2 დღეს, ივ. მერაბიშვილმა დადასტურებულად იცოდა, რომ (1) დანაშაულში იმხილებოდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამსახურის ხელმძღვანელი და სამინისტროს სხვა თანამშრომლები; (2) ამ დანაშაულს წინ უსწრებდა ს. გირგვლიანისა და მისი მეგობრის, ლ. ბუხაიძის ყოფნა „შარდენ ბარში“, სადაც ივ. მერაბიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი უწყების თანამშორმლებთან ერთად იმყოფებოდა ასევე მისივე მეუღლე - თამარ მერაბიშვილი, (3) ალბათობის მაღალი ხარისხით, თამარ მერაბიშვილი იყო „შარდენ ბარში“ და ოქროყანის სასაფლაოზე მომხდარი ფაქტის ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული ფიგურანტი და როგორც მინიმუმ - მოწმე; (4) ს. გირგვლიანსა და ამ სუფრის წევრებს შორის მოხდა ინციდენტი, რაც გახდა მიზეზი შემდგომში ს. გირგვლიანზე გაუგონარი სისასტიკით ანგარიშსწორებისა; (5) დ. ახალაია წარმოადგენდა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის ინიციატორს; (6) ამ დანაშაულის ინიცირებასა და აღსრულებაში მონაწილეობდა 4-ზე მეტი პირი და ყველა მათგანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი.

ზემოაღნიშნულთან ერთად ივ. მერაბიშვილმა ასევე იცოდა, რომ პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ოპერატიული დანაყოფებისა და საგამოძიებო სამსახურისათვის (რომელიც იძიებდა ამ დანაშაულს), ასევე ცნობილი იყო ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ. სწორედ ამიტომ, იგი დ. ახალაიასთან ერთად ეძებდა დანაშაულის დაფარვისა და მისი არასრული, „იძულებითი“ გახსნის გზებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს. გირგვლიანზე ჩადენილი ძალადობის, მისი სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაულის საქმის გამოძიების და მსჯავდრებულთა მიერ სასჯელის მოხდის დროს, განზრახ იქნა დაშვებული არაერთი სიყალბე და კანონდარღვევა, რაც მიზნად ისახავდა ამ საქმეზე მართლმსაჯულების არგანხორციელებას, რაც მიღწეულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ ივ. მერაბიშვილმა იცოდა, რომ დანაშაულში იმხილებოდნენ მისი უწყების მოხელეები და მათ შორის მაღალი თანამდებობის პირები, ხოლო საქმის მნიშვნელოვანი ფიგურანტი მისი მეუღლე თამარ მერაბიშვილი იყო, სამსახურებრივი მოვალეობებისა და საქმის ობიექტურად და სრულყოფილად გამოძიების ვალდებულების საწინააღმდეგოდ, მან 37 დღის განმავლობაში საქმის ე.წ. „გამოძიება“ წარმართა მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი საგამოძიებო დანაყოფის მეშვეობით, ვინაიდან, მას გამიზნული ჰქონდა - საქმის ყველა მნიშვნელოვანი ფიგურანტის და მათ შორის - საკუთარი მეუღლის დაკითხვა მომხდარიყო მისდამი დაქვემდებარებული უწყების შიგნით და პირადი კონტროლის ქვეშ.

2006 წლის 16 თებერვალს, შინაგან საქმეთა თბილისის მთ. სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, ამავე განყოფილების უფროსის მოადგილესთან ერთად, მათთვის მიცემული დავალებისამებრ, დაკითხვის საწარმოებლად გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის - ვასილ სანოძის კაბინეტში, რომელიც ამავე საქმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურანტს წარმოადგენდა. ვ. სანოძის, თ. მერაბიშვილის, დ. ახალაიას, ვ. მელნიკოვის, გ. დონაძის, თ. მაისურაძის, ა. კალანდაძის ე.წ. „დაკითხვა“ განხორციელდა ვ. სანოძის სამუშაო კაბინეტში ყველა ზემოთ დასახელებული პირის ერთობლივი მონაწილეობით და თამარ მერაბიშვილის მითითებებისა და კორექტირებების ფონზე. დაკითხვა წარმოებდა ერთმანეთის თანდასწრებით და დასაკითხ პირთა პოზიციებისა და მათ მიერ გამოთქმული ფრაზების ურთიერთშეჯერებით, რასაც უსიტყვოდ აფიქსირებდა გამომძიებელი და რომელსაც ზედამხედველობდა იქვე მყოფი - საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ „შარდენ ბარში“ მომხდარი ინციდენტის შემსწრე ზაალ ქურციკაშვილი დადგენილი ჰყავდა იმჟამინდელ გამოძიებას დანაშაულის ჩადენიდან მოკლე დროში. იგი არაერთხელ შეხვდა საქმის მწარმოებელ გამომძიებელს, რომელმაც იგი მოწმის სახით დაკითხა. ზ. ქურციკაშვილის ვინაობა და ჩვენების შინაარსი მ. ბაღათურიამ შეხვედრაზე მოახსენა ივ. მერაბიშვილს. თუმცა, ზ. ქურციკაშვილის ჩვენება აღარ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის მიერ წარმოებული გამოძიების მასალებში, ასევე არ მომხდარა მისი შემდგომი დაკითხვა პროკურატურაში გამოძიების ეტაპზე. ამ მოწმის მიერ მიცემული განმარტებების საპირისპიროდ, გამოძიება წარიმართა იმ ვერსიით, თითქოს, დ. ახალაიასა და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის სუფრასთან, გარდაცვლილ ს. გირგვლიანს რაიმე ურთიერთობა ან ინციდენტი არ ჰქონია.

ამდენად, ივ. მერაბიშვილმა მხოლოდ მას შემდეგ დაუთმო საქმე პროკურატურას, რაც მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფმა საგამოძიებო დანაყოფმა პროცესუალურად დაამაგრა თავისივე მინისტრის პირად ინტერესებში მყოფ მოწმეთა ჩვენებები და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რაც სინამდვილეში ივ. მერაბიშვილის მეუღლის საქმიდან განრიდებისა და შესაბამისად, სუფრასთან მყოფი პირების ოქროყანის სასაფლაოზე მომხდარ დანაშაულთან კავშირის არარსებობის დადგენის მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად, ამგვარი ქმედებებით თ. მერაბიშვილის, დ. ახალაიას, გ. დონაძის, ო. მელნიკოვის და ვ. სანოძის ჩვენებათა შინაარსი ამავე სახით შე-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნარჩუნდა საქმის პროკურატურაში გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროსაც.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმიდან, გამოძიების ეტაპზე ამოღებული იქნა მთელი რიგი საპროცესო დოკუმენტები და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ დანაშაულის შეკვეთით ჩადენას და იმას, რომ ამ დანაშაულთან კავშირში იმყოფებოდნენ ივ. მერაბიშვილის მეუღლის თანამესუფრეები. გამოძიების პირველივე ეტაპზე სატელეფონო საოპერატორო ქსელებიდან მოპოვებული იქნა 10-მდე აბონენტის დეტალური ამონაწერი, საიდანაც მხოლოდ ორი (ს. გირგვლიანის და გ. ალანიას) დარჩა, ყველა სხვა დანარჩენი, საქმიდან ადრევე იქნა ამოღებული.

გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა, ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმე, 2006 წლის 5 მარტს, ქ.თბილისის იმჟამინდელ პროკურორს გ. ღვინიაშვილს, მისივე მოთხოვნით, სათანადო მიმართვით დაუტოვა საკუთარ კაბინეტში. შემდგომ, აღნიშნული მიმართვის ტექსტი ასევე შეიცვალა სხვა მიმართვის წერილით, ვინაიდან ს.გირგვლიანის საქმეს გ. ღვინიაშვილისათვის გადაცემის დროს, თან ერთვოდა 3 ლაზერული დისკი: „მაგთის“ ანძების მონაცემები; „ჯეოსელის“ ანძების მონაცემები და ბ.პატარკაციშვილის სახლიდან ამოღებული ვიდეოთვალის ჩანაწერი, სადაც ასახული იყო დამნაშავეთა მოძრაობა ოქროყანის მიმართულებით და უკან. დისკი მოიცავდა ჩანაწერს ღამის 02.00 საათიდან 03.00 საათამდე. საქმეში დღეს წარმოდგენილი მიმართვა აღარ მოიცავს მითითებას ამ დანართებზე და შესაბამისად, საქმეზე დართული ჩანაწერი ამჟამად არის მხოლოდ 34 წამი.

საქმისადმი საზოგადოების ძალზე მაღალი ინტერესისა და იმის გამო, რომ მიუხედავად განსაკუთრებული ძალისხმევისა, მაინც ვერ მოხერხდა „კუდ“-ის კონკრეტული მოხელეების დანაშაულში მონაწილეობისა და მისი წინაპირობის - „შარდენ ბარში“ მინისტრის მეუღლისა და შ.ს. სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების ყოფნის სრულად დაფარვა, ივ. მერაბიშვილი იძულებული გახდა დანაშაულის ჩადენიდან ერთი თვის შემდეგ გამოეცხადებინა დანაშულის ე.წ. „გახსნა“ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დ. ახალაიას ვითომდა „განსაკუთრებული ძალისხმევით“.

2006 წლის 6 მარტს, საჯაროდ გაცხადდა, რომ ს. გირგვლიანის ჯანმრთელობის დაზიანების სასიკვდილო შედეგით (სსკ 119-ე მუხლით) და თავისუფლების უკანონო აღკვეთის (სსკ 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით) ბრალდებით პასუხისგებაში მიეცნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი), ალექსანდრე ღაჭავა (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფ. ოპერატიული თანამშრომელი), მიხეილ ბიბილურიძე (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფ. ოპერატიული თანამშრომელი) და ავთანდილ აფციაური (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფ. ოპერატიული თანამშრომელი). თუმცა, პასუხისგებაში მისაცემ პირებთან წინასწარ შეთანხმდა მათი დაკავების დღე, პირობები, სასჯელის სახე და ზომა. მორიგების თანახმად, სასჯელის ზომა თითოეული მათგანისათვის არ იქნებოდა წელიწადნახევარზე მეტი. ამასთან, დაესაკავებელ პირთა მონაწილეობით, წინასწარ, უკანონოდ განხორციელდა შემთხვევის ადგილების: „შარდენ ბარისა“ და ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება და საგამოძიებო ვერსიის შემუშავება-შეჯერება.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს: გ. ალანიას, მ. ბიბილურიძეს, ალ. ღაჭავას და ა. აფციაურს, მათ მიერ სასჯელის მოხდის საფასურად, ასევე დუმილისა და დანაშაულში უფრო მაღალი თანამდებობის პირების და, კერძოდ, დ. ახალაიას ორგანიზატორობის არგათქმის სანაცვლოდ შესთავაზეს ფინანსური საზღაურის გადახდა 100-100 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით, ასევე მათი ოჯახების უზრუნველყოფა და მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში. გამოძიების საწყის ეტაპზევე, ივ. მერაბიშვილი შეხვდა ბრალდებულებს და შეპირდა, რომ „მის გასაკეთებელს თავადვე გააკეთებდა და მათ პრობლემა არ შეექმნებოდათ“, რაც მან განახორციელა კიდეც. ივ. მერაბიშვილმა „მოდულის“ შენობაში წინასწარი დაკავების საკანში ბრალდებულებთან შეხვედრისას, თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა მათ. დაპირებული თანხის ნაწილი „საჩუქრის“ სახით „შეფისაგან“ (იგულისხმება შს მინისტრი) იქვე გადასცეს დაკავებულებს. დანარჩენი თანხის გადაცემა კი, ხორციელდებოდა გარკვეული პერიოდულობით მათი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში (№7 და №10 დაწესებულება).

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებისათვის წინასწარვე ცნობილი იყო, რომ მათ ჩვენებებსა და ვერსიებზე თავად იზრუნებდნენ გამოძიების მწარმოებელი პირები. რომ გამომძიებლები თავად კარნახობდნენ ჩვენებებს ბრალდებულებს, ან მიჰქონდათ მათთან წინასწარ დაწერილი ჩვენებების ტექსტები, რომელთა ფორმალურ გადაწერასაც ახდენდნენ ბრალდებულები.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2006 წლის 3 მაისს, ბრალდებულებს ფიქტიურად შესთავაზეს საპროცესო შეთანხმება დანაშაულში მონაწილე მათზე მაღალი თანამდებობის პირის ვითომდა გათქმის შემთხვევაში პირობითი მსჯავრის სანაცვლოდ და ამ შეთავაზების დოკუმენტი მოათავსეს მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში. სინამდვილეში კი, ბრალდებულთა მიერ ამ შეთავაზების არმიღებით შექმნეს დოკუმეტი, რაც უნდა შეფასებულიყო იმის მტკიცებულებად, რომ ს. გირგვლიანის მკვლელობის საქმეში არ იმხილებოდნენ შს სამინისტროს უფრო მაღალი თანამდებობის პირები და გამოძიებამ ყველა ზომა მიიღო მათი გამოვლენა-დადგენის მიზნით. მიმდინარე გამოძიებით, ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულთა მიერ საპროცესო გარიგების შეთავაზების მიღების საფრთხისაგან დაზღვევისათვის, მიღებულ იქნა ზომები დ. ახალაიას მიერ. მან, გ. ალანიას ხელით, დანარჩენ 3 ბრალდებულს გადასცა ფულადი თანხა მაშინვე, როგორც კი ერთ-ერთმა ბრალდებულმა გამომძიებლებთან გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.

ჩადენილ დანაშაულში დ. ახალაიას მონაწილეობის დაფარვისა და პირიქით, საქმის გახსნაში მისი წვლილის ჩვენების მიზნით, გამოძიების ფალსიფიკაციის გეგმის ფარგლებში შედგა ე.წ. „საიდუმლო“ წერილები: დ. ახალაიას 2006 წლის 24 თებერვლით დათარიღებული „საიდუმლო“ წერილი №16/27 (ს) ივ. მერაბიშვილისადმი, თავის მხრივ, ივ. მერაბიშვილის ასევე 2006 წლის 24 თებერვლით დათარიღებული „საიდუმლო“ წერილი №16/12(2)-2 საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის - ზ. ადეიშვილისადმი. აღნიშნული „საიდუმლო“ წერილით დ. ახალაია ანგარიშს აბარებს ივ. მერაბიშვილს - თითქოსდა ამ უკანასკნელის დავალების შესრულების მიმდინარეობაზე, რაც შეეხებოდა ს. გირგვლიანის გარდაცვალების გარემოებების დადგენისათვის მის მიერ ვითომდა გატარებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. ივ. მერაბიშვილისათვის გაგზავნილ წერილში დ. ახალაია „ასკვნის“, რომ მის ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემებით, ს. გირგვლიანისა და ლ. ბუხაიძის მიმართ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობდნენ მხოლოდ: გ. ალანია, მ. ბიბილურიძე, ა. აფციაური და ალ. ღაჭავა. შესაბამისად, ივ. მერაბიშვილმა დ. ახალაიას წერილი, ვითომდა გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზ. ადეიშვილს, რადგან მისთვის დ. ახალაიასგან ცნობილი გახდა, რომ ს. გირგვლიანის მკვლელობის საქმეში დამნაშავეებად იკვეთებოდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები. აღნიშნული წერილით ივ. მერაბიშვილი ზ. ადეიშვილს სათანადო რეაგირებისათვის უგზავნიდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმჟამინდელი უფროსის დ. ახალაიას საიდუმლო შეტყობინებას.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ე.წ. „საიდუმლო“ წერილები შედგენილია არა მათზე მითითებულ დროს, არამედ, შესრულდა მოგვიანებით, გამოძიების ინსცენირების გეგმის ფარგლებში და წარმოადგენს ყალბ დოკუმენტებს არარსებული რეკვიზიტებით.

„ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ძალით, ივ. მერაბიშვილს გააჩნდა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულება, მიუხედავად მისი პირადი დაინტერესებისა გამოძიების შედეგებისადმი. „ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს დაადგინოს საქმის გარემოებები ან დანაშაულის ჩამდენი პირი, იმის მანიშნებელია, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ეფექტურობის სათანადო ხარისხი (იხ. „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ №25091/07, პარ. 242, 2011 წლის 26 აპრილი). ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საქმის მწარმოებელი დანაყოფები და პირები გამოძიების არც ერთ სტადიაზე არ იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები, არამედ დამოკიდებულნი იყვნენ არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური, ასევე პრაქტიკული და ფაქტობრივი თვალსაზრისითაც იმ პირებზე, ვინც პირადი მიზნებით დაინტერესებული იყო საქმის არასამართლიანი გამოძიების შედეგებით“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ივლისის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოხდის მიზნით: გ. ალანია, ალ. ღაჭავა, მ. ბიბილურიძე და ა. აფციაური 2006 წლის 18 ივლისს მოთავსებულ იქნენ ქ. თბილისში, №10 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ წინასწარი შეპირების თანახმად, დაწესებულებაში მოთავსებამდე, მათთვის საგანგებოდ გარემონტდა დამოუკიდებელი საცხოვრებელი ფართი (ყოფილი მედცენტრი), დაწესებულების დანარჩენი ტერიტორიისაგან იზოლირების მიზნით შემოიღობა გარე პერიმეტრი, მოეწყო ცალკე სველი წერტილები, სამზარეულო და სხვა სათავსოები. მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელში შეტანილი იქნა ახალი ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, დამონტაჟდა ინტერნეტი, საკაბელო ტელევიზია და ელექტროენერგიის დამოუკიდებელი წყაროს ხაზები. ამ პატიმრებზე არ ვრცელდებოდა ციხის შინაგანაწესით დადგენილი მსჯავრდებულთა ქცევის წესები. ისინი შეუზღუდავად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, შედიოდნენ ადმინისტრაციულ კორპუსში, შეუზღუდავად სარგებლობდნენ მობილური ტელეფონებით, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, განუსაზღვრელი დროით და რაოდენობით იღებდნენ სტუმრებს, რომლებიც ძირითადად იყვნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს მოხელეები, უმასპინძლდებოდნენ მათ ალკოჰოლური სასმელით, სარგებლობდნენ სექსუალური მომსახურებით.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ გ. ალანია, ა. ღაჭავა, ა. აფციაური და მ. ბიბილურიძე სასჯელის მოხდის პერიოდში პერიოდულად გაჰყავდათ №10 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვადასხვა ვადით და გადაადგილდებოდნენ პირადი სარგებლობის ავტომანქანებით, მათ შორის: ბებიის, ბიძაშვილის სამძიმარზე, მაღაზიებში და სხვა, როგორც თბილისში, ისე მის გარეთ. დადასტურებულია ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს ცნობილი მოვლენების დროს - 2008 წლის 11 აგვისტოს: გ.ალანია, ალ.ღაჭავა, ა. აფციაური და მ. ბიბილურიძე გაყვანილ იქნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების განზრახვით. თუმცა, დ. ახალაია იძულებული გახდა 25 აგვისტოს ისინი უკანვე დაებრუნებინა, ვინაიდან, პრეზიდენტის შეწყალება დროებით გადაიდო. მოგვიანებით, 2008 წლის 24 ნოემბერს: გ. ალანია, ა. ღაჭავა, ა. აფციაური და მ. ბიბილურიძე მართლაც შეიწყალა საქართველოს პრეზიდენტმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფოს უფრო მეტი სიმკაცრის გამოხატვა მოეთხოვება საკუთარი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების დასჯის დროს, ვიდრე სხვა დამნაშავის მიმართ, ვინაიდან ამ შემთხვევაში, სასწორზე არა მხოლოდ დამნაშავის ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დევს, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება - აღმოფხვრას დაუსჯელობის შეგრძნება, რომელიც დამნაშავეებს შესაძლოა სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის გამო ჰქონდეთ (იხ. ნიკოლოვა და ველიჩკოვა, №63). „როდესაც ადამიანი იღუპება საეჭვო გარემოებებში და სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელში, გამოძიების წარმოებისას, შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო გამოავლენს რა სიცოცხლისათვის საშიში აქტების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, თავის წარმომადგენლებში დაუსჯელობის გრძნობის განვითარების რისკის წინაშე დადგება, რასაც შეუძლია გზა გაუხსნას სხვა თავზეხელაღებულ დანაშაულებს, ისეთებს, როგორსაც ჰქონდა ადგილი მოცემულ საქმეში“ (ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, 277 პარაგრაფი).

ივ. მერაბიშვილმა, არათუ დაარღვია სახელმწიფოს ვალდებულება, აღმოეფხვრა დაუსჯელობის უკანონო პრივილეგია შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთა შორის, არამედ, თავისი მოქმედებით გამოიწვია მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეთა დანაშაულებრივი საქმიანობის პირდაპირი წახალისება პირადი მოტივებით, საჯარო და სხვა პირთა ინტერესის საწინააღმდეგოდ. ივ. მერაბიშვილის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა დამნაშავეთა და დანაშაულის დაფარვისათვის სხვადასხვა ქმედებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, გამოძიების ინსცენირებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიცირების ორგანიზებაში, დანაშაულის გახსნის ყალბი მოლოდინის გაჩენით - საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში, დამნაშავეთა სამსახურებრივ, მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაში, მათთვის სასჯელის მოხდის პერიოდში უკანონო პრივილეგიების მინიჭებისათვის პირობების შექმნაში და დუმილის სანაცვლოდ, ფინანსური საზღაურისა და კეთილდღეობის შეთავაზებაში, ასევე, სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფაში.

ამრიგად, ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 332-ე მუხლი მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ჩადენილს სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ.

ივ. მერაბიშვილის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საკმარის საფუძველს იძლევა მტკიცებულებათა შემდეგი ერთობლიობა: მოწმეთა: ნინო ბურჯანაძის; მერაბ ბაღათურიას; დავით კუპატაძის; ემზარ ღარიბაშვილის; დიმიტრი ბიჩინაშვილის; თამაზ ვასაძის, დიმიტრი შაორშაძის, ჯემალ გაბელიას, მალხაზ ბოხუას, ივანე კიკნაველიძის; თამაზ ვასაძის; გიორგი ცნობილაძის, შალვა ნიქაბაძის, დავით სარჯველაძის, ვაჟა გამეზარდაშვილის; გია კობაჩიშვილის; ლერი წერეთლის, თენგიზ ჩიტიაშვილის, ბადრი გოგლიძის; გელა ლაზაშვილის; შოთა გენგაშვილის; ნოდარ ნარსიას, ზაზა ქიმაძის; ზაზა ოსიაშვილის; თამარ მიქაძის, იოსებ ტბელაშვილის; დათუნა გაფრინდაშვილის; ვახტანგ იმედაშვილის; გელა ასანაშვილის; თამაზ მაზანაშვილის; ვასილ სანოძის; გურგენ დონაძის; კონსტანტინე არჩაიას; ზურაბ კოტარიას; შალვა ვაშაკიძის; მამუკა საბანაძის; ზაზა ქურციკაშვილის; ლევან ჩიფაშვილის; იოსებ ხასაიას; მარინა მანუკიანის; რუსუდან არჩვაძის; იოსებ სადრაძის; დავით ჯავახიშვილის; ლაშა მერებაშვილის; დავით ჩხატარაშვილის; ალექსანდრე მგელაძის; ვალერი ლაცუზბაიას; ზვიად გუგუჩიას; ვარლამ ხეცურიანის; ლაშა ამირანაშვილის; სალომე ჯანუაშვილის; თემურ ტაბაღუას; მურად გაბუნიას; რამაზ ჭოხონელიძის; მინდია ჯაბაიას; კახა გაზდელიანის; ივანე ჯავახის; დავით სამხარაძის; ავთანდილ გულაროვის; ზვიად ჯინჯოლიას; აკაკი მუშკუდიანის; ნათია რამიშვილის; ციალა დოიჯაშვილის; ალექსანდრე დოლინსკის; გია ალავიძის; გიორგი მუხიგულაშვილის; გიორგი შალამბერიძის, ზურაბ კვიციანის; ვლადიმერ გვასალიას; არჩილ არევაძის; ირაკლი კიპაროიძის; ნინო გველესიანის; ალექსანდრე ღაჭავას; მიხეილ ბიბილურიძის; ავთანდილ აფციაურის; დავით ქოქიაშვილის; გიორგი კალანდარიშვილის; ნინო კიკაბიძის; ზურაბ გრიგოლაშვილის; ციური თევდორაშვილის; ლამარა გაბრიელაშვილის ჩვენებებით;

სისხლის სამართლის №10060037 საქმის მასალებით; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 სექტემბრის დადგენილებებით;

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის №768 განკარგულებით (შეწყალება); საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 24 თებერვლის №16/12(ს)-მ და „კუდ“-ის დირექტორ დ. ახალაიას 2006 წლის 24 თებერვლის №16/27(ს) მიმართვის წერილებით; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 19 თებერვლის №19632 წერილითა და გადმოგზავნილი დოკუმენტაციით; სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მოადგილის 2013 წლის №16/2-966599 წერილით; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოს 2013 წლის 28 თებერვლის №23464 წერილით; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის განჩინებით საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №25091/07); გიორგი ცნობილაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით; ნივთმტკიცების გახსნისა და დათვალიერების ოქმით; საქართველოს შ.ს. სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში („მოდული“) 2008 წლის აგვისტოს საშვთა ბიუროს აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონული ამონაწერით; საქართველოს შ.ს. სამინისტროს გენერალური ინსპექციის საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს 2013 წლის 13 აპრილის №695719 წერილით გადმოგზავნილი შ.ს. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (9აპრილის ქ. 4) 2006 წლის თებერვლის თვეში უცხო პირთა შესვლა-გამოსვლის რეგისტრაციის ჟურნალის ასლებით; თბილისის საქალაქო სასამართლოდან ამოღებული და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გადმოგზავნილი გ. ალანიას, ა. აფციაურის, ალ. ღაჭავას და მ. ბიბილურიძის პირობით ვადამდე გათავისუფლების დოკუმენტებით; თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების 2013 წლის 8 თებერვლის №4558 წერილითა და გადმოგზავნილი დოკუმენტებით; საქართველოს შ.ს. სამინისტროს საფინასო-სამეურნეო დეპარტამენტის 2013 წლის 25 იანვრის №10/4/2-13-0 და შ.ს.ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №101569 წერილებითა და გადმოგზავნილი დოკუმენტებით; სატელეფონო სიმ ბარათებზე შემავალი და გამავალი ზარების შ.პ.ს. ,,ჯეოსელიდან“ და შ.პ.ს. ,,მაგთიკომიდან“ ამოღებული დეტალური ამონაწერებით; გაგა ალავიძის მიერ 2013 წლის 4 თებერვალს წარმოდგენილი სატელეფონო ზარების ამონაწერებით; ივანე მერაბიშვილის სამსახურის გავლის ნუსხით; ასევე სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17, 166-ე, 169-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ივანე სერგოს ძე მერაბიშვილი ცნობილ იქნას ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

2. ივანე მერაბიშვილს ბრალდების შესახებ დადგენილება გაეცნოს საქართველოს მთავარი პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის - კახაბერ ჭუმბაძის მეშვეობით.

ქ. თბილისის პროკურორი
მაია მწარიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უნივერსიტეტმა მთავრობას უკეთესი არჩევანი არ დაუტოვა

20 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. შეხვედრა სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით ჩატარდა.თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, ბაირონისა და გალაკტიონის მთარგმნელმა, მრავალი მონოგრაფიის, წიგნისა და პუბლიკაციის ავტორმა, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტმა, თბილისის ბაირონის სკოლის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ელჩის ორდენის კავალერმა ინესა მერაბიშვილმა.

— როგორ ჩაიარა ამ შეკრებამ და რა გადაწყვეტილება მიიღო მან გამართული დისკუსიის შედეგად?

— აკრედიტებულ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. დისკუსია ძირითადად შემდეგ საკითხებზე მიმდინარეობდა:

1. განათლების მინისტრის წარდგინებით პრემიერ-მინისტრი ნიშნავს რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, რომელიც უნივერსიტეტში მოამზადებს ნიადაგს რექტორის არჩევნებისათვის.

2. რექტორად არჩეული უნდა იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არჩეული უნდა იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

გამოითქვა აზრი, რომ დისკუსია აუცილებლად გაგრძელდება.

— როგორია თქვენი აზრი ამ საკითხებზე?

— აბსოლუტურად ვეთანხმები მეორე და მესამე პუნქტებს და მოგახსენებთ, თუ რატომ. უნივერსიტეტებში სამი არჩევითი აკადემიური პოზიციაა: სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორისა.

დავობენ იმაზე, რომ ასისტენტ-პროფესორად კვლავ იყოს არჩეული სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. ნუ დაგვავიწყდება, რომ დოქტორანტი სტუდენტია, რომელიც ესწრება ლექციებს, აბარებს გამოცდებს და ატარებს პრაქტიკულ სემინარებს, რაშიც ანაზღაურებას არ იღებს, მაგრამ იძენს პედაგოგიურ გამოცდილებას. ამგვარად, სტუდენტს ცოტა დრო რჩება კვლევის საწარმოებლად. თუ სტუდენტს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ავირჩევთ, ეს ნიშნავს, რომ მას უამრავი საათი ექნება ჩასატარებელი და ამით მხოლოდ ხელს შევუშლით მას სადისერტაციო ნაშრომის დასრულებაში. გამონაკლის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ის მოვიწვიოთ საათობრივი ანაზღაურების წესით, ყოველგვარი კონკურსის გაუვლელად.

— თქვენ ასევე ეთანხმებით იმ პუნქტს, რომ რექტორი უნდა იყოს დოქტორის ხარისხის მქონე.

— დაგისვამთ მარტივ შეკითხვას: თუ უნივერსიტეტის რექტორს არ სჭირდება უმაღლესი აკადემიური ან სამეცნიერო ხარისხი, აბა ვისღა სჭირდება ის? იქნებ პროფესორებმაც გაინთავისუფლონ თავი აქედან და საჯარო ტიპის სკოლად ვაქციოთ უნივერსიტეტები, სადაც სხვათა მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით ასწავლიან. სამწუხაროდ, ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რადგან პროფესორის თანამდებობის მქონე პედაგოგები კითხულობენ თეორიულ საგანს, მაგრამ თავად არა აქვთ მიღწევები ამ დარგში. აუდიტორიაში თეორიული ლექციის ჩასატარებლად უნდა შედიოდეს დარგის თვალსაჩინო მეცნიერი, რომელიც ამავე დროს ორატორის ნიჭით იქნება დაჯილდოებული. ამ მოთხოვნას დღეს ბევრი ვერ აკმაყოფილებს. ეს გამოწვეულია უნივერსიტეტების გაზრდილი რაოდენობით. მართალია, მათი უჩვეულო სიმრავლე კარგად უპასუხებს აბიტურიენტთა გაზრდილ რაოდენობას, მაგრამ ხშირად ვერ უზრუნველყოფს სტუდენტისათვის მაღალი განათლების მიცემას.

თუ იცით, რამდენი უნივერსიტეტი მუშაობს 65-მილიონიან დიდ ბრიტანეთში? მხოლოდ 109! შევადაროთ დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა საქართველოს და ვაღიაროთ, რომ ჩვენთან 53 უნივერსიტეტია აკრედიტებული. ამ ფაქტს კომენტარი არ სჭირდება.

რაც შეეხება რექტორს, ჩემი ღრმა რწმენით, ის უნდა იყოს არა მხოლოდ დოქტორი, არამედ მაღალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პირი ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ. თუ რექტორს არა აქვს მაღალი მეცნიერული მიღწევები, მას არ ექნება ავტორიტეტი მასზე უფრო ინტელექტუალურ პროფესურაში და ამდენად, ვერ შეძლებს მათ მართვას. ამასთანავე, ის სტიმულსაც ვერ მისცემს სხვას პროგრესისათვის. რექტორის მეცნიერული აზროვნება პირობაა მისი სამართლიანი დამოკიდებულებისა მეცნიერებისა და მეცნიერთა მიმართ. **ადამიანის სხეული ეგუება, თუ მას ხელი ან ფეხი არ უმუშავებს, მაგრამ თავი უნდა მუშაობდეს**. რექტორი უნდა იყოს არა მხოლოდ ლიდერისა და ორგანიზატორის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, არამედ ზნეობრივი მაგალითი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. ამაზე ადრე არავინ დავობდა. ცუდია ის, რომ დღეს გვჭირდება ეს ვუმტკიცოთ ვინმეს.

ვნახოთ, რა მოთხოვნები აქვს დღეს გამოცხადებული რექტორის ასარჩევად უნივერსიტეტის 12-კაციან აკადემიურ საბჭოს. აღმოჩნდა, რომ კანდიდატებმა დოქტორის ხარისხის მოწმობის გარდა უნდა წარმოადგინონ ცნობები ნასამართლეობისა და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

იუმორით ვიკითხავ: ნუთუ ისე მომრავლდა ქვეყანაში ნარკოტიკის მომხმარებელთა და ნასამართლევ პირთა რაოდენობა, რომ თუ კაცი ამას არ აკეთებს, უკვე იმსახურებს, რექტორადაც განვიხილოთ? და თუ ეს ასე არაა, რატომ არ მოგვთხოვა ამავე აკადემიურმა საბჭომ პროფესორებს, თუნდაც გასულ წელს, აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში ეს ორი ცნობა? იქნებ, აკადემიური საბჭოსათვის სულერთია, მოიხმარს თუ არა თსუ პროფესორი ნარკოტიკებს და არის თუ არა ის ნასამართლევი?

სამწუხაროდ, ეს ის საბჭოა, რომელმაც არაერთხელ აირჩია რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი პირი რექტორად და მერე უყოყმანოდ შეელია მას მათ მიერვე დადგენილ ვადაზე ადრე. ასე იყო გ. ხუბუას შემთხვევაში და ასე მოხდა ა. კვიტაშვილის შემთხვევაშიც. უფრო მეტიც, გ. ხუბუას ბრალი დასდეს კანონდარღვევაში, მაგრამ მის ამომრჩეველ საბჭოს ამ თვალსაზრისით პასუხისმგებლობა არ გაუნაწილებია (?)

ვიცით, რომ აკადემიური თვალსაზრისით ქვეყანაში ბევრი რამე წახდა, ასევეა დედა უნივერსიტეტში. მაგრამ დამეთანხმებით, რომ თუ რამ გადარჩა, გადარჩა ის იდეა, რომელიც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა საფუძვლად დაუდო უნივერსიტეტის დაფუძნებას და დარჩა ლეგენდები თავდადებული რექტორებისა და პროფესორების შესახებ.

აი, რამ უნდა მოგვცეს ძალა, ღირსება დავუბრუნოთ ჩვენს ალმა მატერს და ვიმოქმედოთ მის ასაღორძინებლად.

— როგორც ჩანს, თქვენ არ ენდობით აკადემიური საბჭოს მიერ გამოცხადებულ დღევანდელ კონკურსს?

— მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ საბჭოსთან არამც თუ არანაირი კონფლიქტი, არამედ საქმიანი ურთიერთობაც არასოდეს მქონია (ისევ მათი კარჩაკეტილობის გამო), მიუხედავად იმისა, რომ პატივისცემას განვიცდი საბჭოს იმ წევრების მიმართ, რომელთა პროფესიონალიზმზე კარგი მსმენია, თავად საბჭოს მუშაობასა და დამოკიდებულებას უნივერსიტეტთან მიმართებაში დადებითად ვერ შევაფასებ. ამის მრავალი არგუმენტი არსებობს. განსაკუთრებით ეხება ეს მათ ბოლოდროინდელ ქმედებას, რამაც უნივერსიტეტი უხერხულ ჩიხში შეიყვანა.

მივყვეთ მსჯელობას: როგორც კი განათლების კანონპროექტში გაჩნდა მოთხოვნა, რექტორს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, თსუ რექტორმა ა. კვიტაშვილმა უმალ გაიკეთა განცხადება გადადგომის შესახებ გამომდინარე იქიდან, რომ მას ასეთი ხარისხი არ ჰქონდა. იმავე დღეს აკადემიურმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შესრულება დააკისრა იმავე ა. კვიტაშვილს. თუ კაცი იმის გამო გადადგა, რომ დოქტორის ხარისხი არა აქვს და ამით წინასწარ აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნას, რომელიც საუნივერსიტეტო გამოცდილებასა და ტრადიციას ემყარება, აკადემიური საბჭო როგორ ნიშნავს იმავე თანამდებობაზე, თუნდაც დროებით, იმავე გადამდგარ და ხარისხის არმქონე კაცს?

იმედია, თუ დროებითი მმართველი დაინიშნა, ის არა მარტო გაუფრთხილდება დღეს უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიურ პერსონალს, როგორი პოლიტიკური წარსულიც არ უნდა ჰქონდეს მას, არამედ, ამავე დროს გამონახავს გზებს, დაუბრუნოს უნივერსიტეტს არამართებულად დათხოვილი პროფესურა.

რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის მოადგილე. რატომ ააცილა საბჭომ ეს მოვალეობა რექტორის მოქმედ მოადგილეს, მით უმეტეს, თუ მას ყველა უმაღლესი აკადემიური და სამეცნიერო ხარისხი და წოდება აქვს? სათანადო ხარისხისა და წოდების მქონე სხვაც ბევრია უნივერსიტეტში.

იმავე დღეს, 12 ივნისს, აკადემიურმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი რექტორის თანამდებობაზე დოქტორის ხარისხის მოთხოვნით. არსებული კანონმდებლობის თანახმად აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს რექტორი. ვინ უნდა უთავმჯდომარეოს რექტორის ასარჩევად ამ საბჭოს? მაინცდამაინც ხარისხის არმქონე პირმა? როგორ უნდა უზრუნველყოს საბჭოს უხარისხო თავმჯდომარემ ხარისხიანი რექტორის არჩევა?

იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ რექტორის არჩევის დღედ განისაზღვრა 2013 წლის 16 აგვისტო, ყველაზე ცხელი და მკვდარი პერიოდი, მით უმეტეს აკადემიური თვალსაზრისით.

გამკვირვებია იმ უნივერსიტეტელი პროფესორებისა, რომლებმაც ამ ვითარებაში, გამოცხადებული კონკურსის პირველივე დღეს, ტელევიზიით გამოთქვეს მზაობა, კენჭი იყარონ თსუ რექტორის თანამდებობაზე. რა არის მათთვის მთავარი? — გარეკტორება, თუ უნივერსიტეტის მდგომარეობის გაუმჯობესება? საინტერესოა, რექტორად არჩევის შემთხვევაში რა დამოკიდებულებას განავითარებენ ისინი საბჭოს მიმართ? შეეკვრებიან მას, თუ ჯერ თავს აარჩევინებენ და მერე დაშლიან?

— ბუნებრივია, იბადება კითხვა: იქნებ სწორედ არსებული აკადემიური საბჭოების მიმართ უნდობლობის გამოა, რომ მთავრობა აუცილებლობად მიიჩნევს რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას პრემიერ-მინისტრის მიერ?

— სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მაგალითად, მთავრობას უკეთესი არჩევანი არ დაუტოვა.

მჯერა, რომ ამ საკითხს მთავრობისადმი ნდობით განწყობილი საზოგადოების გარკვეული ნაწილი აკრიტიკებს, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ მათ კარგად ახსოვთ რექტორების დანიშვნის, არჩევისა და გატარებული რეფორმების მძიმე ისტორია.

— ცნობილია, რომ ამ საკითხზე კვლავ გრძელდება მსჯელობა. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?

— თუ მთავრობა და პარლამენტი უკეთეს გამოსავალს ვერ მონახავს და დანიშნავს რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ, მიღებული კანონის თანახმად, რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს უფლება აღარ უნდა ჰქონდეს კენჭი იყაროს რექტორის თანამდებობაზე, მით უმეტეს, რომ კანონპროექტის მიხედვით ეს ჩარევა ერთჯერადი იქნება.

— არის ეს დროებითობა საჭირო?

— თუ შემუშავდება უკეთესი მოდელი რექტორის პირდაპირი არჩევისა, მაშინ ამის აუცილებლობა აღარ იქნება. პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა საზოგადოების თვალში პოტენციურ საშიშროებას იმ მხრივ შეიცავს, რომ დროებით დანიშნულმა რექტორმა, შესაძლოა, გაატაროს ისეთივე ხისტი პოლიტიზებული რეფორმა, როგორიც უკვე გამოიარა უნივერსიტეტმა.

გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტი სწორედ არსებული მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, ბუნებრივია, ის არ უნდა შეიცავდეს ამ საშიშროებას. იმედია, თუ დროებითი მმართველი დაინიშნა, ის არა მარტო გაუფრთხილდება დღეს უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიურ პერსონალს, როგორი პოლიტიკური წარსულიც არ უნდა ჰქონდეს მას, არამედ, ამავე დროს გამონახავს გზებს, დაუბრუნოს უნივერსიტეტს არამართებულად დათხოვილი პროფესურა. მე ვსაუბრობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, სადაც ასეთი ქმედითი ნაბიჯები საგრძნობლად აამაღლებდა მის დაკარგულ ავტორიტეტს და უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტი სტუდენტისათვის გახდებოდა მიმზიდველი.

— როგორია დღეს გასატარებელი საუნივერსიტეტო რეფორმის თქვენეული ხედვა, განსაკუთრებით რექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით?

— ზემოთ გარკვეულწილად ალბათ პასუხიც გავეცი თქვენს შეკითხვას, რაც შეეხება რექტორის არჩევის საკითხს, გავიხსენებდი ბრიტანულ მოდელს. არ გვაწყენდა იმ ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც განათლების მხრივ მოწინავეა მთელს მსოფლიოში.

როდესაც დიდ ბრიტანეთში კონკურსი ცხადდება რექტორის თანამდებობაზე, საგანგებოდ ფართოვდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო გარედან მოწვეული მნიშვნელოვანი პიროვნებებით, ბუნებრივია ისევ უნივერსიტეტის პერსპექტივასთან კავშირში. რექტორის თანამდებობაზე არც პოლიტიკოსს და არც პოლიტიკურად ანგაჟირებულ პირს არ განიხილავენ. **ყველაზე საინტერესოა ის მომენტი, რომ რექტორის არჩევნები ტარდება არა ფარული კენჭისყრით, როგორც ჩვენთან, არამედ მხოლოდ ღია მსჯელობით წარმოდგენილ კანდიდატებზე.** იგულისხმება, რომ საბჭოს წევრები შთაგონებულნი არიან უნივერსიტეტის პროგრესით და არა მიკერძოებით, რასაც ღია მსჯელობა ლაკმუსის ქაღალდივით გამოავლენს. ასეთი მსჯელობის შედეგად **საბჭოს წევრები შეჯერდებიან ერთ საუკეთესო კანდიდატზე, რომელსაც ნიშნავენ კიდეც რექტორად**. ვისურვებდი, რომ ეს წესი ჩვენთანაც ამუშავდეს და სწორედ ასეთი სახის გამჭვირვალე კონკურსით შეირჩეს უნივერსიტეტის რექტორი. ეს გზა გააათკეცდებდა ქვეყნის, უნივერსიტეტისა და თავად რექტორის ავტორიტეტს. ამ მოდელის გამოყენება შეიძლება რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის შერჩევისა და დანიშვნისასაც, რაც, ვფიქრობ, გაფანტავდა საზოგადოებაში არსებულ ეჭვებს და ტვირთსაც შეუმსუბუქებდა მთავრობას.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ვაი, რა ბოძი წაიქცა“

დიდი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საუბარი ძალიან რთული მისიაა, მაგრამ არსებობს ისეთი აუცილებელი გარემოებები, რომლებიც ამ სირთულეს ელფერს უკარგავს. ბატონი თენგიზ ონიანის შესახებ ორჯერ მომიწია საგაზეთო წერილის დაწერა — პირველად მაშინ, როდესაც მას 75 წელი შეუსრულდა და ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა იუბილე გადაუხადა.

ბატონი თენგიზი 75 წელს ძალიან მსუბუქად ატარებდა და მისთვის ჩვეული სასიცოცხლო ენერგიითა და მეცნიერული კვლევების წყურვილით ბოლომდე იყო სავსე.

მეორე წერილს უდიდესი წუხილი მაწერინებს, მაშინ, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ონიანი, უკვე ერთი წელია ჩვენთან აღარ არის და დღეს, მის გარეშე აღვნიშნავთ მისი დაბადებიდან 85 წლის იუბილეს.

აკადემიკოსი **თენგიზ ონიანი** ის პიროვნება გახლდათ, ვის შესახებაც ძალიან ბევრი რამ დარჩა უთქმელი, რაც მისი გარდაცვალებისას გამოქვეყნებულმა ნეკროლოგებმა, მრავალფეროვანი ბიოგრაფიული მონაცემების ჩამოთვლისას, ვერ დაიტია. ვერც ეს წერილი შეძლებს მისი ღრმა პიროვნული თუ მეცნიერული თვისებების სრულად წარმოჩენას, თუმცა, შევეცდებით, მისი მოწაფეების თვალით დანახული პიროვნება წარმოვადგინოთ.

ნეიროფიზიოლოგიის სფეროში მუშაობა 1950-იანი წლებიდან, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო და სულ მალე, ლენტეხის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლიდან თბილისში ჩამოსული ახალგაზრდა, ბატონ ივანეს წარმატებული მოწაფე გახდა. მეცნიერული კვლევები მისი ცხოვრების ძირითად პრიორიტეტად იქცა, ლაბორატორია კი მეორე ბინად. 1968 წლამდე თენგიზ ონიანი კუნთოვანი უჯრედის მემბრანისა და მიოფიბრილების ურთიერთკავშირს იკვლევდა, გამოქვეყნებული ჰქონდა ორი მნიშვნელოვანი მონოგრაფია ამ საკითხებზე. მას ძალიან იზიდავდა ფიზიოლოგიის ეს მიმართულება, მაგრამ ანგარიში გაუწია დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სურვილს და სრულიად შეცვალა მეცნიერული კვლევების მიმართულება. ბატონ ივანეს სურვილი კი ის იყო, რომ მისი მოწაფე მოტივაციურ-ემოციური ქცევების ელექტროფიზიოლოგიურ კვლევებს ჩასდგომოდა სათავეში, რაც, იმ პერიოდში, ფიზიოლოგიის ინსტიტუტში და, ზოგადად, საქართველოში, ახალი კვლევითი მიმართულების დაარსებას ნიშნავდა. ასე შეიქმნა მასწავლებლის მოთხოვნის პასუხად და ბატონი თენგიზ ონიანის უდიდესი პირადი აქტივობით ახალი ლაბორატორია, რომელსაც რამოდენიმე წელი „შედარებითი ფიზიოლოგიის ლაბორატორია“ ეწოდებოდა. ახალშექმნილ ლაბორატორიაში დაიწყო მოტივაციურ-ემოციური რეაქციების ნეიროფიზიოლოგიური კვლევები, რაც ძალიან მალე ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლაში გადაიზარდა. სწორედ ამიტომ, ლაბორატორიის დასახელება შეიცვალა და მას ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია ეწოდა.

ასე შეცვალა ივანე ბერიტაშვილმა თენგიზ ონიანის მეცნიერული მომავალი. ბატონი თენგიზი გახდა საქართველოში ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის და ძილის დარღვევების პათოფიზიოლოგიის კვლევითი მიმართულების დამაარსებელი და უცვლელი სამეცნიერო ლიდერი. მისი ხელმძღვანელობით ლაბორატორიამ, რომელსაც, დღეისთვის, 45-წლიანი ისტორია აქვს, დიდ წარმატებებს მიაღწია, რაც ბატონი თენგიზის დიდი ავტორიტეტის, ღრმა მეცნიერული აზროვნების უნარის და შრომისმოყვარეობის შედეგი იყო. ამ ყველაფერს, მისი მოწაფეებისთვის, დიდი მაგალითის ძალა ჰქონდა. უფრო მეტიც, ეს წარმატებები ჩვენ თვალწინ იქცეოდა რეალობად, ჩვენ მისი თანამონაწილე და გულშემატკივარი ვიყავით, მაშინაც, როდესაც ბატონი თენგიზი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი გახდა და მაშინაც, როდესაც მისმა მონოგრაფიებმა ნეიროფიზიოლოგებისთვის უმაღლესი ჯილდოები — ივანე ბერიტაშვილის და ივანე თარხნიშვილის პრემიები მიიღო. ლაბორატორიაში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგები გახდა საქართველოში ძილის მედიცინის განვითარების საფუძველი, რაც ახლა დასაწყის სტადიაშია.

ბატონ თენგიზთან, 1970-80-იან წლებში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თუ სადისერტაციო კვლევების შესრულების მიზნით, უცხოელი ახალგაზრდა მეცნიერებიც ჩამოდიოდნენ. მათ რიგს ეკუთვნიან ამჟამად მსოფლიოში კარგად ცნობილი პროფესორები: პიტერ მოლნარი — უნგრეთიდან, რონალდ რეისინი — კანადიდან, დევიდ ადამსი — ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ლუც ლუფბოროუ, ჰაინც რუტრიხი, იურ ბრანკაჩეკი — გერმანიიდან და სხვ.

ბატონი თენგიზის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტს მისი უცხოელი მეგობრების უბრალო ჩამონათვალიც უსვამს ხაზს — მსოფლიოში ძილის კვლევის და, ზოგადად, ნეირომეცნიერების, კლასიკოსად აღიარებული ფრანგი პროფესორი მიშელ ჟუვე, საერთაშორისოდ აღიარებული ძილის მკვლევარი, გერმანელი პროფესორი ჰარტმუტ შულცი, ძილის რეგულაციის პირველი თანამედროვე თეორიის ავტორი, პროფესორი ალან ჰობსონი აშშ-დან და სხვები, ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ივანე ბერიტაშვილმა, გარდაცვალებამდე რამოდენიმე დღით ადრე დაიბარა და თავისი ბოლო სურვილი გაუმჟღავნა — მას სურდა, რომ თენგიზ ონიანი ფიზიოლოგიის ინსტიტუტს ჩადგომოდა სათავეში. ამ სურვილით ბატონმა ივანემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის განსაკუთრებულ ნდობას თავისი მოწაფის მიმართ, გამორჩეულ დამოკიდებულებას მისდამი, როგორც მეცნიერული, ისე პიროვნული თვალსაზრისით. ბატონი ივანეს გარდაცვალების შემდეგ ეს სურვილიც შესრულდა — თენგიზ ონიანი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთი წარმატებული დირექტორი გახდა. მისი დირექტორობის პერიოდში ინსტიტუტში გაიხსნა რამოდენიმე ახალი ლაბორატორია, რითაც მეცნიერული კვლევების მრავალფეროვნების ხარისხი გაიზარდა, გადაწყდა ინსტიტუტისთვის ახალი შენობის აშენების საკითხი, შეიქმნა ახალი შენობის პროექტი, რომლის მიხედვითაც, მოგვიანებით, ინსტიტუტის დღევანდელი შენობა აშენდა. მისი დირექტორობის პერიოდში, 1978 წელს, განახლდა ი. ბერიტაშვილის მიერ 1948 წლიდან დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „გაგრის საუბრები“, რომელიც ბატონ ივანეს გარდაცვალების შემდეგ აღარ ტარდებოდა.

ამის პარალელურად, ლაბორატორიაში, უწყვეტი 24-საათიანი ექსპერიმენტები მიმდინარეობდა, რაც იმ დროს, ტექნიკურად, საკმაოდ რთული შესასრულებელი იყო, მაგრამ იმდენად დიდი იყო მეცნიერული მუშაობის ინტერესი, რომ ეს გარემოება არავის უქმნიდა წინააღმდეგობას. ბატონი თენგიზი იყო ნოვატორი მეცნიერი და კარგად ესმოდა მეცნიერულ კვლევებში ახალი მეთოდების დანერგვის მნიშვნელობა. 1970-იან წლებში, პირველად საქართველოში, ბატონი თენგიზის ლაბორატორიაში აეწყო ახალი მეთოდიკა და დაიწყო ცალკეული ნეირონების აქტივობის ჩაწერა, თავისუფლად მოძრავ ცხოველებში, თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურების სუმარული ეეგ აქტივობის პარალელურად. ამ ტიპის ნატიფმა კვლევებმა, მოგვიანებით, დიდი როლი შეასრულა ძილის ფაზათა ბაზისური მექანიზმების ნეიროფიზიოლოგიურ და ნეიროქიმიურ იდენტიფიკაციაში.

მის მიერ ჩატარებული კომპლექსური ნეიროფიზიოლოგიური კვლევების შედეგები გახდა ძილის ფენომენოლოგიის ცვლილების საფუძველი, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პარადოქსული ძილის სელექციური არაფარმაკოლოგიური დეპრივაციის მეთოდი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დეპრესიული მდგომარეობის არაფარმაკოლოგიური კორექციისთვის. ნოვაციების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, აკადემიკოს თენგიზ ონიანის უდიდესი წვლილი მოტივაციურ-ემოციური რეაქციების ნეიროფიზიოლოგიის, ძილის ფენომენოლოგიის, ძილ-ღვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების და ფუნქციური დანიშნულების და ძილის დარღვევათა პათოფიზიოლოგიის კვლევაში ზედმიწევნით არის ასახული მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში, რაც სამასამდე სამეცნიერო სტატიას, ხუთ თემატურ კრებულს და სამ მონოგრაფიას შეადგენს. ბატონი თენგიზის პირადი მეცნიერული ავტორიტეტის და მისი ლაბორატორიის წარმატებების საფუძველზე, 1988 წელს, ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციამ დააფინანსა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგია“, რომელიც აკადემიკოს თენგიზ ონიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა თბილისში და რომლის მუშაობაშიც ამ სფეროს თითქმის ყველა წარმატებულმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. თუკი თვალს გადავავლებთ ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის არსებობის 75-წლიან წარმატებულ ისტორიას, მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავი აკადემიკოს თენგიზ ონიანის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

ბატონი თენგიზი, ძალიან მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ, ამავდროულად, ადამიანურ ურთიერთობებში, რბილი და უშუალო იყო. მისთვის უცხო იყო „თამაში“ და მრავალსახოვნება, წყენაც და სიხარულიც მყისიერად აისახებოდა მის გუნება-განწყობილებაზე. თითქმის ვერ იცლიდა საკუთარ კაბინეტში დასაჯდომად, მისი კაბინეტი იყო იქ, სადაც ექსპერიმენტი მიმდინარეობდა, მისი უდიდესი ახლობელი იყო ის, ვინც მის მიერ დაგეგმილ ექსპერიმენტს წარმატებით ასრულებდა. დღესაც კარგად მახსოვს, როგორ მითხრა ჩემი ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტის დროს — „ახალგაზრდა რომ ნამდვილი მეცნიერი გახდეს, დროულად უნდა შეძლოს ახალი ფაქტის მიღება, ან სხვის მიერ მიღებული ახალი ფაქტის დადასტურება, რასაც ისეთი ხიბლი აქვს, რომ ვერაფერი შეცვლის“. ბატონი თენგიზი იმ ღირსეულთაგანი გახლდათ, რომელსაც ეს ხიბლი სულ თან ახლდა. მეცნიერებას თავისი „ვირუსი“ აქვს, რომელიც ფიზიოლოგებისთვის კარგად ცნობილი „სულ, ან არაფრის“ კანონის მიხედვით მოქმედებს. ეს ვირუსი, ან ბოლომდე მოგწამლავს, ან საერთოდ არ შეგეყრება. ბატონი თენგიზი ამისი დიდი მაგალითი იყო. მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის გამო, ბუნებრივია, ლაბორატორიის ფარგლებს გარეთაც უწევდა მუშაობა. 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის (2009 წლიდან ფიზიოლოგიის) განყოფილებას, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, თუმცა, არსად ტოვებდა ფიქრი, „რა ხდება ახლა ლაბორატორიაში“? პარლამენტში მუშაობის დროსაც კი რეკავდა ტელეფონით და მოკლე ინფორმაციას ვაწვდიდით ექსპერიმენტების მიმდინარეობის თაობაზე. იგივე ხდებოდა მაშინაც, როდესაც ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში იმყოფებოდა.

თენგიზ ონიანი შემოქმედი პიროვნება გახლდათ და თავის მოთხრობებში სულ თავის სათაყვანო სვანეთს დასტრიალებდა თავს. ამის შესანიშნავი მაგალითებია მისი „ბასრა და ბუნჩა“, „ბეთქილის ბილიკებზე“, „ლაშხეთიდან ზეკარამდე“, „ჯარაში და აშდარი“. ძილისა და სიზმრის ბუნების კვლევამ ის დიდი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასთან“ მიიყვანა და გატაცებით შეუდგა მისი სიბრძნის ანალიზს და მეცნიერულ ტერმინოლოგიასთან შეპირისპირებას. სწორედ ამ დიდი გატაცების შედეგია მისი შესანიშნავი წიგნი „ვარსკვლავმორბედი“. გამოუქვეყნებელი დარჩა „გარითმული ფიქრები“ და კიდევ ერთი ნაწარმოები — „მთიდან ბარამდე შორი გზაა“. ბუნებრივია, ეს სათაური იმ დიდ მანძილს არ გულისხმობს ამ ორ ადგილს რომ აშორებს ერთმანეთს. აქ ყველა ის სირთულე და პრობლემა ჟღერადობს, სვანეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში უდედოდ გაზრდილ ახალგაზრდას რომ უნდა დაეძლია, ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლობიდან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობამდე. მიუხედავად იმისა, რომ თავის ცხოვრებაზე საუბრისას, ბატონი თენგიზი, ხშირად იმეორებდა მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით, რომ „მთიდან ბარამდე შორი გზაა“, ეს გზა, მისთვის, ძალზე იოლი და ღირსებით გასავლელი აღმოჩნდა. სწორედ ამ გამორჩეული პიროვნული თუ მეცნიერული თვისებების გამო გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ჯილდო — ღირსების ორდენი.

ბოლო დროს ჯანმრთელობის პრობლემებს უჩიოდა, მაგრამ ყოველთვის მზად იყო თავის მოწაფეებთან მეცნიერებაზე სასაუბროდ. ბატონი თენგიზი სიცოცხლის ბოლომდე იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული მნიშვნელოვანი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიაში 2009-2012 წლებში შესრულდა.

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ბატონი თენგიზი ჩვენთან აღარ არის. არის კი ამქვეყნად არყოფნა სიკვდილი? ადამიანი მაშინ კვდება თუ მას აღარავინ რჩება მომგონებელი. ბატონ თენგიზს და ქალბატონ ელისო კეცხოველს ჰყავთ კარგი შვილები, შესანიშნავი შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებზეც ის უზომოდ იყო შეყვარებული და ამ დიდ სიყვარულს საკუთარ ლექსებში (რომელთაც ის გარითმულ ფიქრებს უწოდებდა) ძალიან ლამაზად და ხატოვნად გადმოსცემდა.

დიდი მეცნიერი კი მაშინ კვდება, როდესაც მის სამეცნიერო მიმართულებას გამგრძელებელი აღარ ჰყავს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი თენგიზის აღზრდილები საქართველოს ნეიროფიზიოლოგთა პირველ ათეულში შედიან. 2010 წლიდან, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის შექმნის პარალელურად, ბატონი თენგიზის ლაბორატორიის თანამშრომელთა ნაწილმა, აკადემიური დოქტორის ნიკოლოზ ონიანის ხელმძღვანელობით, ილიას უნივერსიტეტში, დააარსა „ძილისა და ღვიძილის შემსწავლელი ლაბორატორია“, ხოლო „დედა“ ლაბორატორია ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის შემადგენლობაში დარჩა. აქვე, დიდი სიამოვნებით, მინდა, აღვნიშნო, რომ ბატონი თენგიზის შვილიშვილმა, უმცროსმა თენგიზ ონიანმა, თავის პროფესიად ნეიროფიზიოლოგია აირჩია.

იძინეთ მშვიდად, ბატონო თენგიზ, საქმე, რომელსაც მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება მიუძღვენით, საიმედო ხელშია.

P. S. ბატონი თენგიზის გარდაცვალებისთანავე მეხსიერებაში ამომიტივტივდა დავით გურამიშვილის ლექსი, რომელიც მან ვახტანგ VI-ის გარდაცვალებას მიუძღვნა. ამ ლექსის მრავლისმთქმელი სტრიქონი მივუსადაგე გამოსამშვიდობებელი წერილის სათაურს.

ნარგიზ ნაჭყებია,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ბერიგაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორაგორიის გამგე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ბიძინა ივანიშვილი:
მე ბოროტებას არავის ვუსურვებ

***საქართველოს** პრემიერ-მინისტრმა* **ბიძინა ივანიშვილმა ესტონური გამოცემისთვის მიცემულ თავის პირველ საფუძვლიან ინტერვიუში გამოთქვა სურვილი, რომ მომავალი 20 წლის განმავლობაში საქართველო გახდეს ტიპური ევროპული საზოგადოება, აგრეთვე იმის რწმენაც, რომ იგი მიიღებს უცვლელ მხარდაჭერას ესტონეთის მხრიდან.**

— არის მთავრობა, რომელიც მწვავედ განიცდის იმის აუცილებლობას, რომ გააკეთოს რაღაც ისეთი, რასაც აქ „სამართლიანობის აღდგენას“ უწოდებენ, ამავე დროს, მეორე მხრივ გაისმის კრიტიკა ევროკავშირიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ვანო მერაბიშვილისა და ხელისუფლების ზოგიერთი წინა წარმომადგენლის დაპატიმრება და სასამართლო განპირობებულია პოლიტიკური მოტივებითა და ისინი არღვევენ დემოკრატიის პრინციპებს. ხომ არ გვაქვს აქ საქმე გაუგებრობასთან?

— თქვენ კარგად გამოხატეთ საქმის არსი. ზოგიერთი მოითხოვს მართლმსაჯულებას, სხვები კითხულობენ, ხომ არ არის აქ დევნა პოლიტიკური მოტივებით. ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად განვმარტოთ მომხდარი. ევროპის სახალხო პარტიის — უდიდესი მემარჯვენე ფრაქციის ევროპის პარლამენტში — წევრების ნაწილმა შექმნა რეალური პრობლემა. სამწუხაროა, რომ ევროპის ყველაზე დიდ პარტიაში, რისკენაც ჩვენ დიდი სურვილით მივისწრაფვით, არიან წევრები, რომლებიც მხოლოდ ერთ მხარეს უსმენენ. ეს უცნაურია.

მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდათ მოუსმინონ მეორე მხარეს, აწონონ და ანალიზი გაუკეთონ ფაქტებს, რომლებსაც ჩვენ გადავცემთ. სამწუხაროა. და როდესაც ვიმყოფებით ევროპის მიღმა, ჩვენ დიდად ვაფასებთ ევროპულ ღირებულებებს. ეს არის სამართლიანობა, ადამიანის უფლებები, ობიექტურობა და ა.შ. ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წევრი ამ ღირებულებას არ აღიარებს, თუმცა, საკითხი შეეხება ევროპულ პარტიას და ისინი ცხოვრობენ ევროპაში.

ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წევრი ძალიან გვაგონებს თავის პარტნიორებს (სააკაშვილს) ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, როდესაც თავგამოდებით ცდილობენ, დაარწმუნონ ქართველი ხალხი, რომ შავი — ეს არის თეთრი, თეთრი კი — შავი. ევროპული პოლიტიკოსების ნაწილს სწამს ეს იდეოლოგია. რაღაც ამგვარი მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, როდესაც კონგრესის ერთ-ერთმა კომისიამ ერთ ღამეში შეცვალა თავისი დამოკიდებულება, დაიწყო იმის მტკიცება, რომ საქართველოში მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა. მაგრამ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ეს ჯერ კიდევ არ არის კონგრესი.

19 ივნისს მე შევხვდი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს და ჩვენ დავრწმუნდით, რომ კონგრესი არ მისცემს ამგვარ შეფასებას. გარკვეული ამერიკელი კონგრესმენები ვერ ნახულობენ დროს, რომ ჩასწვდნენ სიტუაციას საქართველოში და ხელმძღვანელობენ ცალმხრივი ინფორმაციით. მთავრობა ცხრა წლის განმავლობაში აწარმოებდა მხოლოდ ლობირებას. მას ძალიან კარგი სპეციალისტები ჰყავს.

— თქვენ განზოგადებულად უპასუხეთ თითქმის ჩემს ყველა შეკითხვას. მაგრამ მე მაინც ჩავუღრმავდებოდი ზოგიერთ თემას. მესმის სამართლიანობის მოთხოვნა საზოგადოებრიობის მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში ცხრა წლის ყოფნის შემდეგ. მაგრამ ნაწილობრივ დასავლეთის შეშფოთება არის ის, რომ, თუ სამართლიანობას დავაყენებთ ყველაფერ სხვაზე მაღლა და დაუოკებლად გამოვხატავთ მისკენ მისწრაფებას, იზარალებს დემოკრატია. თქვენ გესმით ეს შეშფოთება — დემოკრატიას არ შეუძლია ფუნქციონირება უოპოზიციოდ.

— გეთანხმებით. თუ გავაკეთებთ მხოლოდ მას, რასაც ხალხი ითხოვს, ყოველივე ამას არასოდეს ექნება დასასრული. ბოროტად გამოყენების ფაქტი იყო ძალიან ბევრი და მასთან იყო დაკავშირებული ყოფილი რეჟიმის ბევრი პირიც. ამიტომ ჩვენ მოვამზადეთ ამნისტია, მაგრამ მას ბოიკოტი გამოუცხადა პრეზიდენტმა, მოითხოვა, რომ მოგვეხდინა უკლებლივ ყველას ამნისტია, დაწყებული თავად მისგან — მაგრამ ეს ხომ სრულიად შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვამზადეთ ამნისტია საშუალო და დაბალი დონის ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც განკარგულებების შესრულების დროს ხშირად არღვევდნენ კანონებს. პროკურატურაში ამასთან დაკავშირებით 6 ათასზე მეტი საჩივარი შევიდა. დაპატიმრებულია მხოლოდ ცალკეული პირები, და არც ისე დიდი ოდენობა, როგორც ამტკიცებენ... მაგრამ ეს, ეტყობა, სულაც არ არის ის, რაზეც თქვენ მეკითხებით?

— საქართველოში ხელისუფლების შეცვლის დროს დღემდე მოქმედებს პრინციპი „გამარჯვებული ღებულობს ყველაფერს“. მაგალითად, სააკაშვილის დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო ხელისუფლების ლი სამი პოსტი. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შეხვდება პატიოსან ადამიანებს, დემოკრატებს. აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო სისტემაც (ამჟამინდელი მოსამართლეები დანიშნულები არიან სააკაშვილის მიერ), აგრეთვე თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. საჭიროა ახალი სისხლი.

— ინგლისურ ენაში არის გამოთქმა, რომ სამართლიანობამ უბრალოდ კი არ უნდა იზეიმოს, არამედ იზეიმოს საჯაროდ. თქვენ შეგიძლიათ თქვათ რა იქნება მერაბიშვილისა და სხვა პირთა სასამართლო საქმე?

— როგორც თქვენ თქვით, სამართლიანობა უნდა იყოს თვალსაჩინო, არ მიმაჩნია, რომ საქართველოში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ ეს ასე იქნება. შეიძლება, იყოს 2-3 პროცენტი მათგან, ვინც ფინანსურად იყო დამოკიდებული წინა რეჟიმისგან. უფრო მეტად ქართველი ხალხი მეტს მოითხოვს. პრობლემები, სამწუხაროდ, დაკავშირებულია ზოგიერთ ადამიანთან ევროპასა და ამერიკაში. ჩემი შეხვედრების დროს მე ოფიციალურად ვთავაზობდი, რომ პირადად ვანაზღაურებ აქ მეთვალყურეების ყოფნას ნებისმიერი ოდენობით. გამოგზავნეთ ყოფილი მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები — დაე, მათ შეხედონ და შეაფასონ — მიმდინარეობს თუ არა ყველაფერი ისე, როგორც საჭიროა.

— როგორც ესტონელმა მინდა გკითხოთ ესტონეთის შესახებაც: რას ფიქრობთ ყოველივე ამაში ესტონეთის მონაწილეობის შესახებ?

— მხარს უჭერდა ესტონეთი სააკაშვილს? მიმაჩნია, რომ ესტონეთი მხარს უჭერდა ჩვენს ქვეყანას. არის ვიღაცა, ვისაც ძველებურად უყვარს სააკაშვილი. მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, ეს ნორმალურია. თქვენი სამშობლო განეკუთვნება ევროკავშირის ყველაზე ევროპული წევრების რიცხვს. მე შევხვდი თქვენს პრეზიდენტს. მისგან მივიღე მიწვევა ესტონეთში. ვიცნობ საგარეო საქმეთა მინისტრს. თქვენი ქვეყანა დიდხანს გვეხმარებოდა და ახლაც გვეხმარება.

პირველ დღეს (პოლონეთში ჰერმან მარშალის ეგიდით გამართულ ღონისძიებაზე) ურთიერთობა თქვენს პრეზიდენტთან ერთგვარად დაძაბული იყო, მას ბოლომდე არ ესმოდა. მაგრამ, როდესაც გაიგო, ღია გულით მითხრა, რომ მნიშვნელობა აქვს არა სახელებს, სააკაშვილი იქნება იგი თუ ივანიშვილი, ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს და მიმიწვია სტუმრად. მე ვუთხარი, რომ სექტემბერში ჩავალ დიდი სიამოვნებით. მინდა მადლობა გადავუხადო ესტონეთს, რომ იგი მრავალი წლის განმავლობაში მხარს უჭერდა დემოკრატიულ ინსტიტუტებს საქართველოში.

— მართალია, თქვენ ამბობთ, რომ მალე წახვალთ პოლიტიკიდან, გაქვთ წარმოდგენა, როგორი გახდება საქართველო, ვთქვათ, 20 წლის შემდეგ?

— ჩვენ ოცი წელი ერთ ადგილს ვტკეპნიდით. მე მინდოდა, რომ მომავალი 20 წლის შემდეგ საქართველო გახდეს ტიპური ევროპული საზოგადოება, რომ არა მთავრობა იყოს ევროპული, არამედ თავად საზოგადოება. ასეთია ჩემი ოცნება. ასეთია ჩვენი მოძრაობის „ქართული ოცნების“ სახელწოდება. საზოგადოებამ უნდა ისწავლოს, უკეთ გააკონტროლოს მთავრობა.

— დაბოლოს — თქვენ დიდი ხნის განმავლობაში უჭერდით მხარს სააკაშვილს, ყოველ შემთხვევაში, ფინანსურად. რა მოხდა?

— პირველი სამი წელი მართლაც ძლიერ ვეხმარებოდი მას, ვაფინანსებდი მის სახელთან დაუკავშირებელი ფონდების მეშვეობით ყაზარმების მშენებლობას ჯარისკაცებისთვის, პოლიციის, ციხეების, საბავშვოების რეფორმირებას და ა.შ.

ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია — ყოველდღიური კორუფციისგან გათავისუფლება, ინსტიტუტების შექმნა. მე წამოვედი, ვინაიდან სააკაშვილმა დემოკრატიას ზურგი შეაქცია. ყოველთვის, როდესაც იგი ამბობდა: „მე შენი დიდი მადლობელი ვარ“, მე მას ვუპასუხებდი ხოლმე: „მიშა, მე გეხმარები არა შენ, გახსოვდეს ეს ყოველთვის. მე ვეხმარები ჩემს ქვეყანას და მის პრეზიდენტს და ამას გავაკეთებ მანამ, სანამ შენ სასარგებლო იქნები ჩემი ქვეყნისთვის“.

— არჩევნების მიმდინარეობის ღამეს მე საქართველოში ვიყავი, სადაც განთიადისას ხაშურში, საქართველოს ცენტრში, პოლიცია შეიჭრა საარჩევნო უბნებში და გააყალბა ოქმები. მაშინ მომეჩვენა, რომ დილით შეიძლება შემოიღონ სამხედრო მდგომარეობა. თქვენ გაგაოცათ, რომ სააკაშვილმა ნება მოგცათ, მოსულიყავით ხელისუფლებაში?

— აქ ძალიან კარგად იმუშავეს ამერიკელებმა. სააკაშვილი ხედავდა, რომ თუ ის არ აღიარებდა დამარცხებას, დადგებოდა კატასტროფა. მან აღიარა დამარცხება არა იმიტომ, რომ დემოკრატი იყო. ხალხი „ჩახმახზე იდგა“, სააკაშვილს გამოსავალი არ ჰქონია (იბეჭდება მცირეოდენი შემცირებით).

Postimees
ესტონეთი

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველომ ირანელი ფიზიკური და იურიდიული პირების დაახლოებით 150 საბანკო ანგარიში გაყინა

საქართველოს ხელისუფლებამ ირანელი ფიზიკური და იურიდიული პირების დაახლოებით 150 საბანკო ანგარიში გაყინა, რათა დაიცვას თეირანის ბირთვული პროგრამისკენ მიმართული გაეროს სანქციები. ამის შესახებ ამერიკული გამოცემა Wall Street Journal იუწყება.

როგორც ჯეი სოლომონისა და ბენუა ფუკონის სტატიაშია აღნიშნული, ირანელთა საბანკო ანგარიშების გაყინვის შესახებ განცხადება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 20 ივნისს ამავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის საპასუხოდ გააკეთა.

— ქალბატონმა წულუკიანმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა იკვლევს იმ სამხილებს, რომელიც ამერიკული გამოცემის სტატიაში გამოქვეყნდა და აღნიშნა, რომ თბილისი მჭიდროდ თანამშრომლობს გაერო-სა და აშშ-სთან ირანისთვის დაწესებული სანქციების შესრულების კუთხით, — ციტირებს გამოცემა საქართველოს იუსტიციის მინისტრის სიტყვებს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 2011 წლიდან მოყოლებული საქართველომ ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა, რამაც ქვეყანაში შემოსული ირანელი ტურისტებისა და ბიზნესმენების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა.

— თუმცა, როგორც თბილისში გამომავალი სპარსულენოვანი გაზეთის რედაქტორი სარა ღაზი ამბობს, ბოლო რამდენიმე დღეა, უკვე იგრძნობა ცვლილებები ირანელებთან მიმართებაში. სომხეთის საზღვრიდან მომავალ ირანელ ვიზიტორებს უარი უთხრეს საქართველოში შემოსვლაზე, თუ მათ სასტუმროს წინასწარი ჯავშანი არ ექნებოდათ. უარის ასეთი ფორმა აქამდე არ ყოფილა, — აღნიშნავენ ჯეი სოლომონი და ბენუა ფუკონი. 20 ივნისს ამერიკულმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „საქართველოში ირანელების ინვესტიცია სანქციების მიუხედავად იზრდება“. სტატია ირანელების მხრიდან საქართველოში ბიზნეს საქმიანობისადმი ინტერესის ზრდას ეხება და აღნიშნულია, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა ირანს საზღვარგარეთ ბიზნესის კეთება გაურთულა, მაგრამ ირანელი ბიზნესმენები მიილტვიან საქართველოსკენ, რომელიც უკვე დიდი ხანია, აშშ-ის მოკავშირეა კავკასიის რეგიონში. სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ირანული კომპანიების რაოდენობა 84-დან 1500-მდე გაიზარდა. სტატიის თანახმად, ბოლო თვეების განმავლობაში, ირანელებმა კერძო ქართული ავიაკომპანიის, ძირითადი სავაჭრო ბანკისა და ლიმონის ქარხნის სადავეები აიღეს. სტატიასთან დაკავშირებით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ განცხადება გაავრცელა.

— სტატიაში გამოქვეყნებული ზოგიერთი განცხადების საწინააღმდეგოდ, ჩვენ ვხედავთ საქართველოს მთავრობის შეურყეველ ინტერესს, მჭიდრო ურთიერთობა იქონიოს შეერთებულ შტატებთან. აგრეთვე ვხედავთ ძლიერ სურვილს, რომ საქართველომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია გააგრძელოს. ბოლო წლებში ირანის მიერ საქართველოში სანქციებისთვის თავის არიდების მცდელობების გამო შეერთებული შტატების შეშფოთება გაიზარდა. შეერთებული შტატების წუხილი დღევანდელი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამდე იღებს სათავეს, — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შპს „აუდიტორული კომპანია გაფრინდაშვილი-კონსალტინგი“
ს/ნ 206319713 ტ. 899 559297
22 ივნისი 2013 წელი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „კრისტალ-კრედიტის“ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშებზე

ჩავატარეთ შპს „კრისტალ-კრედიტის“ –ს (ს.ნ. 204550529. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი აღმაშენებლის 187) ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომელიც შედგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბალანსისაგან. ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშებისაგან,საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშების, სხვადასხვა საბუღალტრო ანგარიშების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან..

I. „საზოგადოების“ მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშების მონაცემების უტყუარობაზე.

საზოგადოების მენეჯმენტი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ანგარიშების შედგენაზე, მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს შიდა კონტროლის განხორციელებას ფინანსური ანგარიშების უშეცდომოდ მომზადებაზე და წარდგენაზე, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

II.აუდიტორთა პასუხისმგებლობა:

ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე წარმოვადგინოთ დასკვნა და გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშებზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული გუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი გუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შეფასებას მთლიანად.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

III. მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები და ანგარიშები შესაძლებელი სისრულით და უტყუარობით, მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, ყველა არსებით ასპექტში სამართლიანად ასახავს საზოგადოების 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ მდგომარეობას.

„საზოგადოებაში“ არსებული გუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება და შედგენილი ფინანსური ანგარიშები შეესაბამება გუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

დასკვნას თან ერთვის ცხრილის სახით და მისი განუყოფელი ნაწილია ფინსური ანგარიშგება

შპს „აუდიტორული კომპანია
გაფრინდაშვილი–კონსალტინგის“ სახელით
დირექტორი: **/ე. გაფრინდაშვილი/**

სერთიფიკატი: №5/325
აუდიტორი **/თ. ზუხბაია/**

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია:	კრისტალ კრედიტი
თარიღი:	31 დეკემბერი 2012 წელი

საბალანსო უწყისი

ლარებში

N	აქტივები	ლარი	უცხ.ვალუტა	სული
1	ნაღდი ფული	7,637	50,303	57,939
2	ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,947	103,770	105,717
3	ფასიანი ქაღალდები			0
4	მთლიანი სესხები	186,163	2,083,566	2,269,729
5	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	3,723	41,671	45,395
6	წმინდა სესხები	182,440	2,041,895	2,224,334
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	232	4,103	4,335
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	49,071		49,071
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში			0
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	717,034		717,034
13	სხვა აქტივები	148,040		148,040
14	**მთლიანი აქტივები**	1,106,400	2,200,070	3,306,470
	ვალდებულებები			
15	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები			0
16	ნასესხები სახსრები		1,558,005	1,558,005
17	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები		907,446	907,446
18	სხვა ვალდებულებები	91,031		91,031
19	სუბორდინირებული ვალდებულებები			0
20	**მთლიანი ვალდებულებები**	91,031	2,465,451	2,556,482
	კაპიტალი			
21	საწესდებო კაპიტალი	250,000		250,000
22	მინუს: გამოსყიდული აქციებიწილი			0
23	საემისიო კაპიტალი*			0
24	გრანტები და შემოწირულობა კაპიტალში			0
25	რეზერვები			0
26	გაუნაწილებელი მოგება	499,988		499,988
27	აქტივების გადაფასების რეზერვები			0
28	**სულ კაპიტალი**	749,988	0	749,988
	მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი	841,019	2,465,451	3,306,470
				0

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

*აღნიშნულ სტრიქონს აკსებს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია:	კრისტალ კრედიტი
თარიღი:	31 დეკემბერი 2012 წელი

მოგება - ზარალის უწყისი

ლარებში

N		ლარი	უცხ. ვალუტა	სული
	საპროცენტო შემოსავლები			
1	საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან მიმდინარე ანგარიშების მიხედვით			0
2	საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	95,345	622,240	717,586
3	საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან			0
4	სხვა საპროცენტო შემოსავლები			0
5	**მთლიანი საპროცენტო შემოსავალი**	95,345	622,240	717,586
	საპროცენტო ხარჯები			0
6	ფიზიკური პირებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები		49,907	49,907
7	იურიდიული პირებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები		153,888	153,888
8	ბანკებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები			0
9	საფინანსო ორგანიზაციებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები			0
10	საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები			0
11	სხვა საპროცენტო ხარჯები			0
12	**მთლიანი საპროცენტო ხარჯები**	0	203,795	203,795
13	**წმინდა საპროცენტო შემოსავალი**	95,345	418,445	513,791
	არასაპროცენტო შემოსავლები			0
14	წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით			0
15	მიღებული დივიდენდები			0
16	მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან			0
17	მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	(760)		(760)
18	მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(39,861)		(39,861)
19	მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან			0
20	სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	120		120
21	**მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები**	(40,501)	0	(40,501)
	არასაპროცენტო ხარჯები			0
22	სხვა ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები			0
23	გაბვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები			0
24	პერსონალის ხარჯები	96,104		96,104
25	ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები	11,290		11,290
26	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები			0
27	სხვა არასაპროცენტო ხარჯები	87,051		87,051
28	**მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები**	194,445	0	194,445
29	**წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი**	(234,946)	0	(234,946)
30	**მოგება დარეზერვებამდე**	(139,601)	418,445	278,844
31	**ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით**	595		595
32	**მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე**	(140,196)	418,445	278,250
33	მოგების გადასახადი	(21,029)	62,767	41,737
34	**მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ**	(119,166)	355,679	236,512
35	გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)	0	0	0
36	**წმინდა მოგება (ზარალი)**	(119,166)	355,679	236,512

დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ძიუდო

კიმონოიანთა ექვსი ჯილდო

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დასრულდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა ერთი ოქროს და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. ორი ჯილდო გოგონების წილად მოდის: გია თენაძის შეგირდთაგან მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ) ზედიზედ დაამარცხა თურქი დამლა ჩალისკანი, ჰოლანდიელი ჯული კემინკი, რუმინელი ტეოდორა ბალაშოუ, ჰოლანდიელი ფლეურ დენ დეკერი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო მზია ბებოშვილმა (48) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა გოგონებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

ირაკლი ცირეკიძის გაწვრთნილი ბიჭები ტალინში ოთხ ბრინჯაოს დასჯერდნენ. მესამე ადგილებზე გავიდნენ რობიზონ ბეგლარიშვილი (50 კგ), კობა მჭედლიშვილი (66 კგ), თამაზ კირაკოზაშვილი (73 კგ) და დავით რამაზაშვილი (90).

ვაჟა ნოსირელი

სურათზე: მარიამ ჯანაშვილი.

◎ ჭადრაკი

ნიგალიძის თამასა

ბათუმელმა საერთაშორისო ოსტატმა გაიოზ ნიგალიძემ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 72-ე ეროვნულ ჩემპიონატში 11 შესაძლებლიდან 9 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა. სულ შეჯიბრებაში 12 დიდოსტატი, საერთაშორისო და ეროვნული ოსტატი მონაწილეობდა. 8 ქულით ვერცხლის მედალი რუსთაველ ლუკა პაიჭაძეს ერგო, სამტრედიელმა დავით ჯოჯუამ კი 7,5 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: კონსტანტინე შანავა – 7, გიგა ყუფარაძე – 6,5, მიხეილ მჭედლიშვილი – 6,5, მერაბ გაგუნაშვილი – 6,5, ლევან ფანცულაია – 5,5, დავით მაღალაშვილი – 4, დავით ლომსაძე – 3, დავით ზარქუა – 2, ფრიდონ ყალაგაშვილი – 0,5 ქულა.

ნატა ნიბლაძე

◎ ჭიდაობა

ლიდერები ნაკრებში ადგილს იბევებენ



ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც, დავით მარსაგიშვილისა (84) და დავით ხუციშვილის (74, გერმანიაში მხარზე ოპერაცია გაიკეთა) გარდა, ყველა უძლიერესი მონაწილეობდა, რადგან ეს ტურნირი, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო. უნდა ითქვას, რომ ფავორიტებმა კონკურენციას გაუძლეს და ნაკრებში ადგილი შეინარჩუნეს.

ახლა კი გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ.

კვარცხლბეკი

55 კგ. 1. გიორგი ედიშერაშვილი (აჭარა); 2. კონსტანტინე ხუციშვილი (გორი); 3. გიორგი ლეჟავა (სამტრედია), გივი დავიდოვი (საჩხერე).

60 კგ. 1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი); 2. მალხაზ ზარქუა (აჭარა); 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისი), ამირან ყაზარაშვილი (გორი).

66 კგ. 1. ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური); 2. დავით ბერძნიშვილი; 3. კონსტანტინე ხაბალაშვილი, თენგიზ ჩოჩიშვილი (სამივე – გორი).

74 კგ. 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი); 2. გიორგი სანოძე (ქუთაისი); 3. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), რევაზ ივანიშვილი (გარდაბანი).

84 კგ. 1. სანდრო ამინაშვილი (გარდაბანი); 2. გიორგი თხელიძე; 3. ნოდარ ეგაძე (ორივე – გორი), ოთარ ურუტაძე (ქუთაისი).

96 კგ. 1. დავით ქერაშვილი (თბილისი); 2. ომარ გუსოშვილი (გორი); 3. ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი), მამუკა კორძაია (აჭარა).

120 კგ. 1. გენო პეტრიაშვილი (გორი); 2. თორნიკე ხიდეშელი (გარდაბანი); 3. გიორგი საკანდელიძე, გიორგი ქართველიშვილი (ორივე – თბილისი).

ლაშა დიდია

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

მოზარდთა დრამა

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციისა და სპორტულ კლუბ „მორკინალი 2011“-ის ინიციატივით სპორტის უნივერსიტეტის ფეხბურთის მოედანზე (ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გურამ ძაგანიამ მოასპარეზეებს უსასყიდლოდ დაუთმო სარბიელი და ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებაშიც შეიტანა წვლილი) სასკოლო ლიგის ფინალი გაიმართა. გადამწყვეტ პაექრობაში დედაქალაქის 115-ე საჯარო სკოლის გუნდი „მორკინალი 2011“ (მწვრთნელები – გია ბეგიაშვილი, ამირან სხილაძე) და კასპის სასპორტო სკოლის წარმომადგენლები (მწვრთნელი ავთო ჯალალი) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ - 0:0. პენალტებით გაიმარჯვეს თბილისელებმა და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი „კრწანისი-ავლაბარს“ (მწვრთნელები - მამუკა გაბრიჩიძე, მირზა სამხარაძე) ხვდა, რომელმაც „ბერმუხა“ დაამარცხა.

გივი გაგუა

სურათზე: თბილისისა და კასპის გუნდების შეხვედრის მომენტი.

◎ ფეხბურთი

მოზაიკა

კონფედერაციის თასი. ჯგუფური რაუნდი. III ტური (ბრაზილია).

„ა“ ჯგუფი. ბრაზილია – იტალია 4:2, მექსიკა – იაპონია 2:1.

საბოლოო მდგომარეობა: ბრაზილია – 9, იტალია – 6, მექსიკა – 3, იაპონია – 0 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. ესპანეთი – ნიგერია 3:0, ურუგვაი – ტაიტი 8:0.

საბოლოო მდგომარეობა: ესპანეთი – 9, ურუგვაი – 6, ნორვეგია – 3, ტაიტი – 0 ქულა.

ნახევარფინალში ითამაშებენ: ბრაზილია – ურუგვაი (ხვალ), ესპანეთი – იტალია (ზეგ).

* * *

საწვრთნელი შეკრება. ამხანაგური მატჩი (ავსტრია). თბილისის „დინამო“ – დონეცკის „შახტარი“ 1:0.

გოლი: ჩისკო (38-ე წუთი).

* * *

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა, რომელმაც ქართულ გუნდებს შემდეგი მეტოქეები არგუნა:

ჩემპიონთა ლიგა

მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპი
16 ან 17 და 23 ან 24 ივლისი

თბილისის „დინამო“ – ანდორრის „ლუზიტანოსსა“ და ფარერების „სტრეიმურს“ შორის გამარჯვებული.

ევროპის ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
4 და 11 ივლისი

„ჩიხურა“ (საჩხერე) – „ვადუცი“ (ლიხტენშტაინი).

„ტორპედო“ (ქუთაისი) – „ჟილინა“ (სლოვაკეთი).

მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპი
18 და 25 ივლისი

„დილა“ (გორი) – „ოლბორგი“ (დანია).

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

„პუმებთან“ საბრძოლველად დენთი არ ეყოთ

არგენტინა-საქართველო 29:18

საქართველო: წიკლაური (ყიასაშვილი), მაჩხანელი, კაჭარავა, შარიქაძე, მჭედლიძე, ხმალაძე (მალაღურაძე), ბეგაძე (ხუციშვილი). კაკოვინი (ფეიქრიშვილი), ბრეგვაძე (ბელქანია), ზირაქაშვილი (ჩილაჩავა), მაისურაძე (ნემსაძე), დათუნაშვილი, სუთიაშვილი (ბიწაძე), კოლელიშვილი, ჩხაიძე.

5 საჯარიმო: წიკლაური (4), მალაღურაძე, **1 არეკნი:** წიკლაური.

ოკეანისგაღმელებმა „ბაკარდის თასი“ სპეციალურად არგენტინა-საქართველოს მატჩში გამარჯვებულისთვის დააწესეს და თავადვე დაიტოვეს, არადა, შესაძლო იყო, ეს პრიზი ბორჯღალოსნებს წამოეღოთ. „პუმებისა“ და საქართველოს ტესტმატჩი პროვინციულ სან-ხუანში მასპინძლების იერიშებით დაიწყო და ანგარიში მე-2 წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნეს კიდეც. ამის შემდეგ ჰეიგის შეგირდები მთელი პირველი ტაიმი არგენტინელებს ტოლ-სწორად ეთამაშნენ, მეტიც – შესვენებამდე 2 წუთით ადრე 12:6-ს იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში სტუმრები კიდევ ერთხელ შეცდნენ და „პუმებმა“ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მეორე ტაიმის დასაწყისში კი გააქტიურდნენ, ჯერ წონასწორობა აღადგინეს, მერე დაწინაურდნენ და მატჩიც სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს - 29:18.

ლექსო ცინცაძე

◎ ოლიმპიზმი

ზეიმი ოლიმპიური პრინციპით

სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები გამოვიდნენ კვირას სპორტული ფორმებით თბილისის ქუჩებში, რომ ოლიმპიური დღის აღსანიშნავად ფილარმონიიდან მშვიდობის ხიდამდე მასობრივ გარბენში მიეღოთ მონაწილეობა. მთავარი სწორედ მონაწილეობა იყო და არა – გამარჯვება. თითოეული მოასპარეზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომით, სპეციალური მაისურითა და კეპით დაჯილდოვდა. ღონისძიება ნამდვილად შთამბეჭდავი და ლამაზი გამოვიდა. ფინიშის შემდეგ რიყის პარკში გაიმართა შეჯიბრებები ქუჩის კალათბურთსა და ხელბურთში, მკლავჭიდში, ბაგირის გადაძალვასა და გირების აწევაში. დედაქალაქელებმა ულამაზესი სპორტულ-კულტურული დღესასწაული იხილეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ქართული“ ჯიბრი

ძართული ჯიბრიც კი განსხვავებულია, როგორც ყოველივე ქართული. „ქართული“ ჯიბრი ქიშპობა უფროა, დაუნდობლობა უფროა, ვიდრე ჯანსაღი შეჯიბრი, რომელიც კაცის სახელს, ქვეყნის სახელს წაადგება და დიდებით შემოსავს. ჩვენთან პირიქითაა, ცხონებულმა მამაჩემმა იცოდა თქმა, კაცმა კაცის ჯიბრით შარვალში ჩაისვარაო, ანუ, ოღონდ მავანს თავისი გაეტანა, ოღონდ მოწინააღმდეგისთვის ეჯობნა და, ამის გამო, არაფერს დაერიდებოდა, თუნდაც ხალხი სიცილით დახოცილიყო მის ნამოქმედარზე.

„ქართული“ ჯიბრია მა, რაღა ჯანდაბაა, რაც ჩვენს უბედურ ქვეყანაში XXI საუკუნეში ხდება?! რატომღაც დაგვსაჯა უფალმა, გამოგვიგზავნა „მეფედ“ ერთი „შერეკილი“ ტიპი, რომელმაც თავდაყირა დააყენა ყოველივე ქართული.

რატომ იღებს „იუნესკო“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ბაგრატის ტაძარს? ჯიბრით, ბოღმით რომ აივსო ჩვენი „აღმაშენებელი“, რას ჰქვია, ქართველ ხალხს ცაში აჰყავს ივანიშვილი „სამების“ აშენებისთვისო და ისე, რომ არ დაუჯერა არავის რჩევას, ბაგრატი სასწრაფოდ თავის ჭკუაზე „აღაშენა“, იმაზე კი არ დაფიქრდა, რა მოჰყვებოდა ამ თვითშემოქმედებას! როგორც ცნობილი გახდა (და, ღმერთმა ნუ ქნას!) არც გელათსა და მცხეთას დაინდობს „იუნესკო“.

რაც ამწუთას საქართველოში ხდება, განა ეს ერთი კაცის „დილიხორს“ არ მოჰყვა?! „ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და, თანაც, ძალიან მაგრადო!“ გაჰკიოდა მიტინგებზე სააკაშვილი. აბა, ერთი გაემარჯვათ!.. მაშინ ვნახავდით, როგორ დაისჯებოდა „ნაცისტების“ ურჩი ამომრჩეველი იმ გადამალული იარაღით!

ვაი, რომ ეს ბედი გქონია, ჩემო ქვეყანავ! რა, ეს „ნაცისტები“ რომ გადაშენდებიან, ბიძინა ივანიშვილს არ დაუწყებენ ვიღაც-ვიღაცები უშნო ჯიბრს?! განა საქართველოში არ წერდა რუსთაველი? „მალმალ იტყვის, ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“.

ეტყობა, სხვაგვარად ცხოვრება, თანხმობითა და ურთიერთგვერდში დგომით არსებობა არ შეუძლია ქართველ კაცს, ამიტომაც გვაქვს ყოფა ნატირები, ამიტომაც ვართ „მომაკვდავ ერთა“ წინა რიგებში.



და მაინც, ისევ ღმერთის იმედად, ჩემო ქვეყანავ! მრავალი მიშასნაირი წასულა და გადაშენებულა, უშნო ჯიბრითა და ბოღმით რომ იცხოვრეს შენს მიწაზე, შენ კი კვლავაც იარსებებ იმათ იმედად, ვისაც შენი ძუძუ მადლიანად უწოვია და შენთვის სასიკეთოდ გარჯილა.

ჰანგი — სიყვარულზე წმინდა

საძართველოში კარგი ხმა და სიმღერა ვის გაჰკვირვებია? ჰამლეტ გონაშვილისა — უკვირთ. საიდან მოდის ეს არამიწიერი ხმა, რა ბადებს ამ უბადლო ტემბრს, მის სისპეტაკესა და ოდნავ ნაღვლიან შეფერილობას?

— ასეთი ტემბრი შეიძლება საუკუნეების განმავლობაშიც არ განმეორდეს, — ამბობს **ანზორ ერქომაიშვილი,** — ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე, სამხატვრო ხელმძღვანელი ანსამბლ „რუსთავისა“, რომლის შემადგენლობაშიც ჰამლეტ გონაშვილმა მრავალი წელი გაატარა და განუზომელი წარმატებების სიხარულიც არ დაჰკლებია, — მისი სიმღერა მარტო ყელიდან არ ამოდის, თითოეულ ფრაზას გულის სიღრმეში ხარშავს, აფერადებს, ალამაზებს, მის სიმღერაში ერის სული ჩანს, ერის ისტორია. ამიტომაა ჰამლეტის სიმღერა ყველასთვის საყვარელი და გასაგები. მახსოვს ბელგიის გაზეთი წერდა: „გონაშვილის ხმა საოცარი სითბოთი და სილამაზით გამოირჩევა. იგი კი არ მიფრინავს, ზღვის ტალღასავით მიგორავს, რომ შემდეგ ისევ უკან დაუბრუნდეს მომღერალს.“

შესაშური იყო მისი პატრიოტიზმი, სიყვარული მშობელი მიწისა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს იგი სწავლობდა ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციას და ცდილობდა იქიდან საუკეთესო შეერჩია, საქართველოში დაენერგა. იგი ჩვენთვის არა მარტო სიმღერის, არამედ კაცურკაცობის მისაბაძი მაგალითი იყო... ო, როგორ დაგვწყვიტა გული (არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ საქართველოს) მისმა უღმერთო სიკვდილმა... ახალმა თაობამ შეიძლება არც იცოდეს ეს შემაძრწუნებელი ფაქტი: მშობლიურ სოფელ ანაგაში, თავის ეზოში, როგორ აჭრიდა ჰამლეტი ხეს ტოტს, როგორ დაუცდა ფერდობზე ფეხი, იქვე საქონლის დასაბმელ რკინის პალოს, როგორ წამოეგო გულ-მკერდით და ადგილზე გათავდა... მაშ!..

ახლა 85 წლისა იქნებოდა ჩვენი განუმეორებელი ძმა და მეგობარი...

* * *

კარგა ხნის წინათ, სასაუბროდ სახლში მიმიწვია ვაკეში (დის ბინა იყო, საკუთარ ბინას, მგონი, არც მოსწრებია). ვისხედით, ვსადილობდით, კახურ ღვინოს ვაყოლებდით, თან ვსაუბრობდით... თავისი წარმატებებიდან რომ დაიწყო, სულ დაწვრილებით გაიხსენა ბავშვობა, სტუდენტობა, როგორ უყვარდა ვიოლინოზე დაკვრა, როგორ გადავიდნენ საცხოვრებლად ცხინვალში, რადგან მამამისი დიმიტრი გონაშვილი იქ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა. იქვე ჩაირიცხა თვითონაც ბიოლოგიის ფაკულტეტზე, მერე კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ ათწლედში შევიდა, მერე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადაიტანა საბუთები, მერე თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობოზე დააპირა შესვლა, მაგრამ ერთ დღეს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპეტიციაზე მიუყვანია მეგობარს, კირილე პაჭკორიას გაუსინჯავს და ეგრევე მიუღია ანსამბლში... ასე გადავყევი დღემდე სიმღერასო, მითხრა.

— ოჰ, ჰამლეტ, ჰამლეტ!.. ცოტა სტუმარიც ალაპარაკე რა, — „ბწკენს“ მეუღლე, ქალბატონი ლამარა ცინცაბაძის ქალი და თან სუფრას რაღაც-რაღაცებს უმატებს. ბოკვერებივით ბიჭები დიმიტრი და გიორგი იქვე თამაშობენ, უკვე წვრთნის და მოძღვრავს მამა თავის ვაჟიშვილებს, ცდილობს, აქედანვე აზიაროს ისინი ყოველივე ქართულს... რომ იცოდეთ, მართლაც რა შესანიშნავ ქართველებად დაიზარდნენ ჰამლეტის ვაჟიშვილები, ძვირფასო მკითხველო!.. ერთხელაც, ერთ-ერთმა, მგონი, დიმიტრიმ, საოცარი პატივი დამდო — რედაქციაში ამომიყვანა თავისი ცეროდენა ვაჟიშვილი, აი, ჰამლეტ გონაშვილიო... ჰამლეტ II დღეს უკვე დიდი ბიჭი იქნება და აუცილებლად ეცოდინება ვისი ჯიშისა და გორისაა...

* * *

მგონი, არც ერთი ქართველი ხელოვნისთვის იმდენი ლექსი არ უძღვნიათ ჩვენს პოეტებს, რამდენიც ჰამლეტ გონაშვილს უსახსოვრეს. აი, ზოგიერთი:

„გული, ო, გული როგორ მოითმენს,
ვიდრე ეგ თითბრის ზარი წკრიალებს,
შენი ხმა ესმათ, მოდგნენ, მოვიდნენ,
მოვიდნენ, მაგრამ დაიგვიანეს.“

ჯანსუღ ჩარკვიანი.

„დამდევს შუაღამის ბაღში,
ურვა — ოროველა ერის,
როცა თმაჭაღარა ბავშვი
— ჰამლეტ გონაშვილი მღერის.
აღარც ჩამიჩუმი ისმის,
ბნელში შეყუჩებულ წყვილთა,
საყდრულ სიჩუმეში კვნესის,
ჰანგი — სიყვარულზე წმინდა“.

ოთარ ჭელიძე.

„შენ რომ გალობ, ჰამლეტ ჩემო,
მიბრუნდება სიყმაწვილე.
მზე ჩამოგაქვს ჰანგით ციდან,
ღვთის სინათლეს გვინაწილებ“.

მორის ფოცხიშვილი.

ჰამლეტ გონაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე რამდენჯერმე გამოვიდა ალბომი-მონოგრაფია. როგორც ჰამლეტის ახლობელმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა **მაყვალა გონაშვილმა** მითხრა, სულ მალე გამოვა ერთი მთლიანი ალბომი-პორტრეტი — სავსე მოგონებებით, წერილებით, რეცენზიებით, უამრავი ფოტომასალით, რაც, ალბათ, სრულად წარმოგვიდგენს ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერლის ცხოვრების გზას, **ხოლო პარასკევს, 28 ივნისს რუსთაველის თეატრში აღინიშნება ჰამლეტ გონაშვილის დაბადების 85 წლისთავი.**

აი, მართლაც სად იქნება აგიზგიზებული ქართველი ხალხის სიყვარული და სითბო.

ლომი დაცვაში

განებივრებულნი ვიყავით ქართველები ფეხბურთის „ვარსკვლავებით“, მართალია, რუსი ჩინოვნიკების წყალობით ჩემპიონობას კარგა ხანს ვერ ვეღირსეთ, მაგრამ რუს მაყურებელს ხომ გონს აკარგვინებდა ჩვენი ბიჭების დიდოსტატობა. ვენაცვალე ქართულ ჯიშს, იმ დიდოსტატებში, კიდევ უფრო დიდოსტატები ბრწყინავდნენ. ისე ბრწყინავდნენ, რუსებმა საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტნებადაც კი აირჩიეს ჯერ მურთაზ ხურცილავა, მოგვიანებით კი ალექსანდრე ჩივაძე!

ეს ბანძაში „ნაპოვნი“ ხურცილავა, მაინც სხვა იყო!.. იგი ლომივით იდგა დაცვაში, მოწინააღმდეგეს არ აჭაჭანებდა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, ხოლო, ხანდახან თუ წინაც გაიჭრებოდა, ულამაზეს გოლსაც გაიტანდა.

ღმერთო, რა წლები იყო! ღმერთო, რა დღეები იყო! ყოველი დილა, განა ბინძურ პოლიტიკაზე კამათით, ფეხბურთზე საუბრით, სიხარულით, იმედით იწყებოდა. მურთაზ ხურცილავაც იყო ამ სიხარულების ავტორი (მერე რა, რომ, ხანდახან წყენისაც, რადგან სპორტი სპორტია). იმ სიხარულისთვის დიდი მადლობა ჩვენს საამაყო მურთაზს, რომელსაც სულ რამდენიმე თვეა, რაც 70 წელი შეუსრულდა და, ეს თარიღი, ჩვენს ძვირფას კოლეგას, ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ მემატიანეს **დემიკო ლოლაძეს,**

დასტურ, რომ არ გამორჩენია. გამორჩენია კი არა, მურთაზ ხურცილავაზე ადრე გამოქვეყნებული თავისი მასალებით შეუვსია, უამრავი ფოტომასალა დაურთავს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ზვიად სიჭინავას ხელშეწყობით, ისეთი ალბომი გამოუცია, ავ თვალს რომ არ ენახვება.

დემიკო ლოლაძის მონოგრაფია-ფოტოალბომი, შეიძლება ითქვას, დაწვრილებით აღწერს ქართული ფეხბურთის დიდოსტატის, მსოფლიოში აღიარებული მცველის მურთაზ ხურცილავას სპორტული თუ ყოველდღიური ცხოვრების გზას. ჰოდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის ავტორის მიმართ მურთაზ ხურცილავას თაყვანისმცემლებს?!

დემიკომ იცის, რასაც აკეთებს!

ვილენ მარდალეიშვილი

„ჯანმრთელობის ცენტრის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ გოგა, კოტე ჩახუნაშვილებს და მათ ოჯახებს დედის

მერი ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

◎ ალიან-ჩალიანი

სკოლის თანამშრომლებს ხელფასები მოემატებათ

ამის შესახებ განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

მისი თქმით, ხელფასის მომატება შემდეგი სქემით მოხდება: სკოლის დირექტორებს ჰქონდათ 600 ლარი, ახლა ექნებათ — 660. დირექტორის მოადგილეებს ქონდათ 335 ლარი, ახლა ექნებათ 400 ლარი. სკოლის ბუღალტერს ჰქონდა — 235 ლარი, ახლა ექნება — 320 და ა.შ.

მარგველაშვილის ინფორმაციით, მინისტრის ბრძანებულებაში შესული ცვლილების შემდეგ, სკოლის მასწავლებლების შვებულება 40 სამუშაო დღით განისაზღვრა.

— 2013 წლის ივლისის დასაწყისიდან ყველა მასწავლებელი წინმსწრებით მიიღებს შვებულების თანხას და მათ ექნებათ შესაძლებლობა, რომ 2 თვის განმავლობაში კარგად დაისვენონ და მოემზადონ ახალი სასწავლო წლისთვის, — აღნიშნა მინისტრმა.

მან, ასევე, ისაუბრა სკოლების რეაბილიტაციაზე და აღნიშნა, რომ ზაფხულში, სამინისტრო 600-მდე სკოლის რეაბილიტაციას და რამდენიმე სკოლის მშენებლობას გეგმავს.

გამარტივდება ნასამართლობის მოხსნა

ნასამართლობის მოხსნასთან დაკავშირებული პროცედურა გამარტივდა. ნასამართლობის მოხსნაზე სასამართლოსგან უარის მიღების შემთხვევაში , პირს შუამდგომლობის ხელახლა დაყენება სამი თვის შემდეგ შეეძლება, ნაცვლად ექვსი თვისა, როგორც ამას აქამდე მოქმედი კანონი ითვალისწინებდა.

დეპუტატ ირაკლი ჩიქოვანის მიერ ინიცირებული და პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა ძალაში უკვე შევიდა.

ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში, შუამდგომლობის ხელახლა დაყენება მხოლოდ სამი თვის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

რუსთავის ვაგონმშენებელ ქარხანაში ორი მუშა დაშავდა

როგორც „ინტერპრენიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ვაგონის შედუღების დროს აალება მოხდა და ორმა მუშამ სხეულზე სხვადასხვა სახის საშუალო სიმძიმის დამწვრობები მიიღო.

დაშავებულები თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადმოიყვანეს.

ინტერპრესი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დედამიწის ზურგზე

უცნაური ვიდეო მანჩესტერიდან: მუზეუმში მოძრაობა დაიწყო ძველი ეგვიპტის ღვთაების ქანდაკებამ

ღმერთ ოსირისის პატარა ქანდაკებამ, რომელიც ეგვიპტეში დაამზადეს დაახლოებით 1800 წელს ჩვენს ერამდე, ჩიხში ჩააყენა მუზეუმის თანამშრომლები, სადაც იგი იყო წარმოდგენილი მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლად გააკეთა ბრუნვა 180 გრადუსზე. ექსპონატის გადაადგილება ჩაიწერა თვალყურის სადევნებელი კამერებით, თანაც ამ დროს რგოლზე მოჩანს, რომ ქანდაკებას არავინ მიახლოებია.

ამერიკელმა მუშაითმა მიკ ვალენდამ დაზღვევის გარეშე გადაკვეთა გრანდ-კანიონი

გასეირნება უფსკრულის თავზე 22 წუთზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა. ვალენდა მიდიოდა ბალანსირებით, თან მუდმივად ბუტბუტებდა ლოცვებს. უკანასკნელი რამდენიმე ნაბიჯი მან გაზრდილ ტემპში გააკეთა, თითქმის სირბილით. ვალენდას მორიგ მიღწევას პირდაპირ ეთერში გადასცემდა ტელეარხი „დისქავერი“.

ჩერნოგორიაში ავტობუსი, რომელშიც რუმინელები ისხდნენ, ხიდიდან 40-მეტრიან უფსკრულში გადაიჩეხა

უკანასკნელი მონაცემებით 16 კაცი დაიღუპა, 31 დაიჭრა. არ არის გამორიცხული, რომ მსხვერპლთა რაოდენობა გაიზარდოს. თვითმხილველთა მონაცემებით, კანიონის ფსკერზე კიდევ რამდენიმე დაღუპულის სხეულია.

ცენტრალური ინგლისის მეჩეთს ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუყენეს

ხელისუფლებამ იმ 40 სახლის მცხოვრებთა ევაკუაცია მოახდინა, რომლებიც მუსლიმანების სალოცავი სახლის მახლობლად მდებარეობენ. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ არმიელი მესანგრეები. ცენტრალურ ინგლისში პაკისტანიდან გადმოსულთა მრავალრიცხოვანთა თემი ცხოვრობს.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყურებთ ვახლეებთან

ვის ტოვებს ივანიშვილი პრემიერად

ვინ სარგებლობს ბიძინა ივანიშვილის დიდი ნდობით და ვინ იქნება შემოდგომაზე პრემიერ-მინისტრის პოსტზე?! — მიუხედავად იმისა, რომ პოლიტოლოგებისა და თავად საპარლამენტო უმრავლეობის წარმომადგენელთა განცხადებით, პრემიერი თანამდებობიდან არ უნდა წავიდეს, სავარაუდო შემცვლელებზე კულუარული საუბრები მაინც დაიწყო. ირაკლი ღარიბაშვილი, თეა წულუკიანი, დავით უსუფაშვილი და ლევან ვასაძე — თითქმის ყველა ექსპერტი ამ ოთხ პიროვნებას განიხილავს, მათგან ყველაზე მეტად კი შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის გვარებს ასახელებენ.

„რეზონანსი“

მოსკოვი ბაძოს ომის დაწყებისკენ უბიძგებს?

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაძაბულობა არ კლებულობს, ამიტომ თითოეული მხარე გაფაციცებით აკვირდება მეორის გაძლიერებას. ოფიციალური ერევნისთვის, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მთავარი დასაყრდენია, მთლად სასიამოვნო არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ რუსეთმა აზერბაიჯანისთვის თითქმის ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების საბრძოლო ტექნიკის მიწოდება დაიწყო. რა გამოდის? რუსეთი, რომელიც ერთი მხრივ, სომხეთს ძმობას ეფიცება, მის ზურგს უკან თანამედროვე შემტევი საშუალებებით ამარაგებს მის მთავარ მოწინააღმდეგეს — აზერბაიჯანს. არსებობს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ აზერბაიჯანისთვის შეიარაღების დიდი პარტიების მიყიდვით მოსკოვს სურს, ბაქოს ომის დაწყებისკენ უბიძგოს, რის შედეგადაც ერევანს სრულ პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას გამოუცხადებს, აზერბაიჯანი კი შეიძლება საქართველოს მსგავს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

„კვირის პალიტრა“

„ქვეყანა რესპუბლიკელებს ხელში არ უნდა ჩავუგდოთ“

ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, მისი შესაძლო წასვლის თაობაზე დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს არასწორად იქნა გაგებული და ივანიშვილი ქვეყანას ამ განსაცდელში არ დატოვებს.

სანდრო ბრეგაძე ამ განცხადებას შემაშფოთებელსა და საგანგაშოს უწოდებს და ამბობს, რომ „ქვეყანა რესპუბლიკელების ხელში არ უნდა ჩავაგდოთ... თუმცა, სხვა პოლიტიკური ძალებიც არიან კოალიციაში, მაგრამ მათ არ აქვთ იმ ნდობის ხარისხის 50 პროცენტიც კი, რაც აქვს ბიძინა ივანიშვილს. ასევე არა აქვთ პოტენცია იმისა, რომ ქვეყანა გამოიყვანონ კრიზისიდან.

ივანიშვილი კი მთავარი იმედია მოსახლეობისა.

„ახალი თაობა“

ჯალათის დედა

2013 წლის 21 ივნისს, როცა მთელი საქართველო მისი ჯალათი შვილის დაქირავებული მანიაკების მიერ მაგიდაზე დაბმული მამაკაცის გაუპატიურების ამსახველი კადრებით არის თავზარდაცემული, გიული ალასანიამ საკუთარი უნივერსიტეტის ახალი კორპუსის გახსნა მოაწყო! სააკაშვილისთვის დედას ადამიანის სიყვარული რომ ესწავლებინა, ამ ქვეყანაში 7 ნოემბერი და 26 მაისი არ მოხდებოდა, უდანაშაულო ადამიანებს სახურავებზე არ შეაგდებდნენ და იმ ცხედრებიდან 10 მეტრში მიშიკო სამხედრო აღლუმს არ ჩაიბარებდა.

„ასავალ-დასავალი“

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

ცინცხალი ანეკდოტები

— თუ შეიძლება, 58 ზომის ბიუსჰალტერი მომეცით, — ეუბნება მამაკაცი გამყიდველს.

— რას ამბობთ, ასეთი ზომა არ არსებობს.

— როგორ არ არსებობს, ახლახან გავზომე ჩემი კეპით.

* * *

— როგორ გგონიათ, ჩემი შეყვარება შეიძლება? — ეკითხება გოგო ბიჭს.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ რას ელოდები?

* * *

ანონიმურად გაუგზავნე შენს ცოლს ყვავილები. თუ იგი სახლში უიმათოდ დაბრუნდება, ის შენ გღალატობს.

* * *

— წახვალთ არჩევნებზე ხმის მისაცემად — ეკითხებიან მათემატიკის პროფესორს.

— არა.

— რატომ, პროფესორო?

— ალბათობის თეორიის მიხედვით, ჩემი ხმა არაფერს არ შეცვლის.

— მაგრამ, პროფესორო, თუ ყველა ასეთივე „ჭკვიანი“ გამოდგება?

— ალბათობის თეორიის მიხედვით, ყველა არ შეიძლება ჭკვიანი იყოს...

* * *

ალკოპოლი ჯანმრთელობისთვის მარგებელია. ათასობით მამაკაცი არ შეიძლება რომ ცდებოდეს!

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com